ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2024 წელი, 5 მაისი, №4 (6578)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

გილოცავთ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აღდგომა ქრისტესი

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვე-ნისა იესო ქრისტესი ან უბრალოდ აღ-დგომა – უძველესი და უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული. აღდგომას უძ-ღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნე-ბის კვირა. ქრისტიანთათვის ესაა ზე-იმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლი-ნებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოც-ნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმე-ტყველნი ქადაგებდნენ და რაც სინედრი-ონის ნებით ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუ-ნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანა-მედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზე-იმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მო-მდევნო კვირას, იუდეველთა პასექის და-სასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ეს შუალედი ხვდება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე. შესაბამისად, აღდგომა მოძრავი დღესა-სწაულების კატეგორიას განეკუთვნება.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

„გაუმჯობესებული სკოლამდელი განათლების სერვისი ყველა ბავშვისათვის“

19 აპრილს, ყვარლის მუნიციპალი-ტეტის მერიაში კახეთის სამხარეო განვი-თარების ცენტრმა გამართა შეხვედრა, „გაუმჯობესებული სკოლამდელი განათ-ლების სერვისი ყველა ბავშვისათვის“ – პროექტის შესახებ.

პროექტი ხორციელდება ევროკავ-შირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების კოორდინი-რებული ადვოკატირება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პი-

რთა უფლებების დაცვის ვალდებულებე-ბის განხორციელებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც უძღვებიან ორგანიზაციები „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათ-ვის“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხო-ვრებისათვის“.

პროექტის მიზანს წარმოადგენს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში მომსახურების პრო-ცედურებისა და ყველა შესაბამისი დო-კუმენტაციის ანალიზი, ადაპტირება და არსებული გამოწვევების ადვოკატირება შშმ ბავშვებისთვის სკოლამდელ განათ-ლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდისთვის.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას იღებ-დნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, საკრებულოს თავმჯ-დომარე ილია მზექალაშვილი და ადგი-ლობრივი თვითმმართველობის წარმომა-დგენლები.

აღნიშნული ფოკუს ჯგუფები პარა-ლელურად ჩატარდება სკოლამდელი და-წესებულებების გაერთიანებასთან, მენე-ჯერებთან და სხვა შესაბამის ჯგუფებთან.

მთავარია, ჩვენმა შვილებმა ისე იარონ, რომ არასოდეს გაიწყვიტონ შუბლზე ნამუსის ძარღვი და ყოველთვის ახსოვდეთ ვისი გვარისანი არიან

5 აპრილს ყვარლის მთავარ ბიბ-ლიოთეკაში ლიტერატურული სალონი „ჩირაღდანის“ მიერ მოეწყო ღონისძიება – რატომ უნდა ვისწავლოთ „ვეფხისტყაო-სანი“.

შესავალში, იმასთან დაკავშირე-ბით, თუ რატომ უნდა ვისწავლოთ „ვე-ფხისტყაოსანი“ ვრცლად ისაუბრა ლი-ტერატურული სალონის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ზეინაბ ჭიჭიკოშვილმა. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის მნიშვნე-ლობაზე ისაუბრეს მონწეულმა სტუმრებ-მაც. ლიტერატურული სალონის წევრებს შორის გაიმართა კონკურსი – „ვინ უკეთ იცის აფორიზმები“.

უკანასკნელ პერიოდში, საზოგადო-ებაში სერიოზულად დაიწყო საუბარი იმის შესახებ, უნდა ისწავლებოდეს თუ არა ძველი ქართული ლიტერატურა სკოლებში. ეს განსაკუთრებით ჰაგიოგ-რაფიულ მწერლობას ეხება. მსგავსი კი-თხვები გააჩნია არამარტო ახალ თაობას, არამედ სხვადასხვა თაობის ბევრ ადამი-ანს, ვინაიდან აშკარად გამოიკვეთა პრო-ბლემა, რომ მოსწავლეთა უმეტესობას არ უყვარს ძველი ქართული მწერლობა, რასაც ალბათ, თავისი ობიექტური მიზე-ზები გააჩნია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კითხვა და პასუხი გაჩნდა და სა-დისკუსიო თემად გადაიქცა, ვფიქრობ გასათვალისწინებელია გამოცდილი და

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

... მე, როგორც პოეტი, ვარ აღმწერელი ადამიანთა ტკივილისა თუ სიხარულისა...

15 აპრილს ილია ჭავჭავაძის სახე-ლობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა პოეტ იზოლდა იოსებიანის შემოქმედებითი საღამო, რომელიც მისი ახალი კრებული პრეზენტაციას მიე-ძღვნა. ღონისძიება გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის დირექტორის ირაკლი მათი-კაშვილის ინიციატივით და უძღვებოდა ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის ისტო-რიის მასწავლებელი თინა ნაზრიშვილი.

იზოლდა იოსებიანს მიულოცეს დაბადების დღე და ახალი კრებულის გამოცემა მისი შემოქმედების თაყვანის-მცემლებმა. ლექსი „დურუჯი“ წაიკითხა ვახო მირზიკაშვილმა, ასევე გაჟღერდა პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ხეურო“ (ხელმ. ირაკლი მათიკაშვილი) „მელო-დია“ (ხელმძ: მედეა გეგეჭკორი) „,კა-

ხელო“ (ხელმძ:იზა წყალობაშვილი)ნორჩ გიტარისტთა წრის წევრები (ხელმძ:ნანა ჩიხიაშვილი), ნორჩი მომღერალი გიორგი ბენდიანიშვილი და სხვა.

„უთარიღო ლექსები“ იზოლდა იო-სებიანის ახალი კრებულია. მანამდე გამოცემული აქვს ორი კრებული – „დე-დის სათხოვარი ფუძის ანგელოზს“ და პროზაული ნაწარმოები – „ბოგირი და მოგონებები“. ამასთან ერთად არის თა-ნაავტორი წიგნების: „ლექსო არ დაიკა-რგები“, „მინიატურული პოეზია“, „სუ-ლიერების კვალდაკვალ“, „ქართველები სამშობლოს გარეთ“ – თანაავტორი.

როგორც ავტორი ახალი წიგნის წინასიტყვაობაში წერს:“ შენ, ვინც ამ კრებულს წაიკითხავ, აუცილებლად და-ინახავ მასში შენეულ განცდებს, რადგან

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

ახლა რომ ვიწყებდე მუშაობას ისევ ყვარელს ავირჩევდი

მან ბავშვობა „ბოგირზე“, მოლაანთ უბანში გაატარა. აქ ყოველთვის მოუხა-როდა მის გულს და სანათესაო ოჯახების და მეზობლების ხშირი სტუმარი იყო. და-ამთავრა თუ არა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული ფაკულტეტი, განანილებით ყვარლის რაიონულ პო-ლიკლინიკა-საავადმყოფოში ექიმ-თერა-პევტად დაიწყო მუშაობა. ამ წლებშივე თბილისში გაიარა კლინიკური ორდინა-ტურა და დაინიშნა ყვარლის საავადმყო-ფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. უმაღლესი კატეგორიის ექიმი თავის პრო-ფესიას კარგად უთავსებდა მუსიკას და ერთხანს სამუსიკო სკოლის პედაგოგა-დაც მუშაობდა, პენსიაზე გასვლამდე კი ყვარლის პირველი საჯარო სკოლის მო-სწავლე-ახალგაზრდობის ჯანმრთელო-ბის სადარაჯოზე მდგომი ღირსეულად ემსახურა მათ. უკვე ასაკს მიღწეული ქალბატონი დღესაც „ილიას გორიდან“ მონაბერი ჰაერით სუნთქავს და ეამაყება, რომ ეს წლები ყვარლის მუნიციპალიტე-ტის მოსახლეობის ჯანმრთელობის სამ-სახურს შეალია. იმ ხანად ყვარლის რაიო-ნულ საავადმყოფო-პოლიკლინიკაში მო-მუშავე ნიჭიერი, ახალგაზრდა ექიმების გვერდით იდგა და როგორც პიროვნებამ და როგორც რესპუბლიკის დამსახურე-ბულმა პროფესიონალმა ექიმმა თავისი თავმდაბლობით ყველას შეაყვარა თავი. მათი მეგობრობა დღესაც გრძელდება და ახალგაზრდობის წლებს ერთმანეთთან შეხვედრისას ხშირად იხსენებენ. დღეს პე-ნსიაზე მყოფ ექიმ-თერაპევტს, ქალბატონ თამარ სუმბაძეს სახლში ვეწვიეთ, მო-ვიკითხეთ და ვთხოვეთ ესაუბრა თავისი ცხოვრების განვლილ გზებზე.

– თამარი ექიმო, გილოცავთ გაზა-ფხულის შემობრძანებას, გისურვებთ ყო-ველივე კარგს, ჯანმრთელობას და რაც მთავარია მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას. თუ შეიძლება გვიამბეთ ყვარელში გატარებულ წლებზე, რატომ

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

აღდგომა ქრისტესი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, აღდგომის ზეიმი, უძველეს მესაქონლეთა და შემდეგ მიწათმოქმედთა საგაზაფხულო, საყოველთაო განახლების დღესასწაულია, რომელიც უშორესი ძირებით წარმართულ რელიგიებს უნდა უკავშირდებოდეს, სადაც ის ბუნების კვდომას და აღდგომას განასახიერებს.

აღვსება

ქართულ მართლმადიდებლურ საეკლესიო ლიტერატურაში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „აღვსება“. იგი ორიგინალური ძველი ქართული ტერმინია და, უპირატესად, პასქალიონში გამოიყენება. სიტყვა აღვსება ებრაულიდან მომდინარე ტერმინ პასექის ზედმიწევნითი შესატყვისია და ბერძნულ პასხას და სომხურ ზატიკს შეესაბამება. „უძველეს იადგარში“ აღვსება აღდგომის საგალობლებში გვხვდება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, მისი როგორც ტერმინის სიძველეს.

ძირითადად ტერმინი აღვსება ჰომილეტიკურ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში გამოიყენება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აქ მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის აღდგომის დღესასწაულით არ გაიგივება. ამის შესახებ საინტერესო განმარტებას ვხვდებით ე. ჭელიძის კომენტარში, რომელიც მას დართული აქვს „წმინდა მოწამე შუშანიკის მარტვილობის“ერთი კონკრეტული ადგილის განმარტებისას. კერძოდ, ჰაგიოგრეფიულ ტექსტში ნათქვამია, რომ ვარსქენმა შუშანიკი გვემა აღვსების ორშაბათს: „მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკისა, დღესა ორშაბათსა“. ე. ჭელიძე აღნიშნავს, რომ ტერმინი „აღვსება“ ორმნიშვნელოვანია: 1) „იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს ციკლს, დღეების გარკვეულ მონაკვეთს, ჩვეულებრივ შვიდეულს (ზოგჯერ შვიდეულებს), ამ აზრით, ტერმინი აღვსება იმიჯნება აღდგომისაგან. 2) მეორე მხრივ, აღნიშნავს ხსენებული ციკლის (ჩვეულებრივ, შვიდეულის) დამაგვირგვინებელ კონკრეტულ დღეს, კვირიაკეს, კვირა დღეს, როდესაც აღდგა უფალი. ამ შინაარსით აღვსება და აღდგომა იდენტურია“. ე. ჭელიძის აზრით შუშანიკის წამებაში მოხსენიებული აღვსების ორშაბათი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ვნების შვიდეულის ორშაბათად, ისე აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათად.

ტერმინ „აღვსების“ შინაარსობრივი განმარტება კ. კეკელიძის აზრით დაკავშირებული უნდა იყოს დიდიმარხვის დასრულებასთან. მეცნიერის თქმით: „აღდგომით სრულდება, აღივსება პერიოდი 49 დღის მარხვა-სინანულისა, რომელიც მას წინ უძღვის“.

კ. კეკელიძე თავის შეხედულებას სხვა მოსაზრებითაც ამყარებს: „ძველ ქართულ ჰეორტოლოგიურ წელიწადში, რომელიც ცხრა პერიოდად იყოფოდა, 4-9 პერიოდი შეიცავდა თითოეული შვიდ კვირას ან 49 დღეს. შვიდკვირეულ პერიოდებად დაყოფა საეკლესიო წელიწადისა არის უძველესი აღმოსავლური პრაქტიკა, რომლის კვალი დარჩენილია სირიის ქრისტიანთა, ნესტორიანთა და იაკობიტთა შორისაც, ტერმინი „აღვსება“ იხმარებოდა ხოლმე ამ ქრისტეანეთა მიერაც, იმით აღინიშნებოდა, არამარტო დიდმარხვის, არამედ სხვა პერიოდის უკანასკნელი შვიდეულიც. მაგალითად: „პარასკევი მოციქულთა შვიდეულის აღვსებისა“, „კვირა მოციქულთა შვიდეულის აღვსებისა“. მეექვსე პერიოდი ხსენებული ჰეორტოლოგიური წელიწადის მარტვილიიდან, ანუ სული წმინდის გადმოსვლის დღესასწაულიდან იწყებოდა და გრძელდებოდა 29 ივნისამდე, პეტრე-პავლობამდე. ამიტომ ამ შვიდეულს ეწოდებოდა „მოციქულთა შვიდეული“, რომელსაც თავისი „აღვსება“ ჰქონდა. კ. კეკელიძე ამ მოსაზრებას ამყარებდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ერთი მონაკვეთით, სადაც 1065 წლის 29 ივნისი მოხსენიებულია როგორც „აღვსება“ – ნუგეშინის-ეცით ძმათა, რამეთუ დღეს აღვსებაჲ არს“. კ. კეკელიძის აზრით 29 ივნისი, პეტრე-პავლობის დღესასწაული არის „აღვსება“ მოციქულთა მარხვის შვიდეულისა.

ა. შანიძის ვერსიით ტერმინი „აღვსება“ შეიძლება დაკავშირებული იყოს გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო სავსემთვარეობასთან, რომლის შემდეგი კვირა-დღე წარმოადგენს აღდგომის დღესასწაულს. მისი აზრით, „ის გარემოება, რომ პასექი ძველ ქართულად იწოდებოდა აღვსებად, მოწმობს იმის შესახებ, რომ მისი დღესასწაულობა შესაძლებელია დაკავშირებული იყო გაზაფხულის სავსემთვარეობის შემდგომ პირველ კვირასთან“. ამავე მოსაზრებას გამოთქვამს ე. ჭელიძეც და ტერმინ აღვსების სათავედ ებრაული პასექის აღსრულების ჟამს მიიჩნევს: „უეჭველია, რომ ქართული „აღვსება“ უნდა შექმნილიყო, როგორც პასექის დრესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინი, გამომდინარე პასექის აუცილებელი პირობიდან, სავსემთვარეობიდან. როგორც ცნობილია, პასექის დღესასწაული აუცილებლად იმართებოდა სავსემთვარეობას, რაც ძველ ქართულად სწორედ „აღვსებად“ ითქმის“. ა. შანიძის ამ მოსაზრებას არ იზიარებდა კ. კეკელიძე.

მართლმადიდებლური აღდგომის თარიღი მოძრავია. იგი მიიღო ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელზეც დადგინდა, რომ აღდგომა უნდა იდღესასწაულებოდეს ერთდროულად ყველა ეკლესიაში, ე. ი. პირველი კვირა-დღეს სავსე მთვარიდან გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დღე დაემთხვევა ებრაელთა პასექს, მაშინ უნდა აღინიშნოს შემდეგ კვირა-დღეს.

წყარო:
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977. – გვ. 48.

აღდგომა საქართველოში

აღდგომა საქართველოში, ისევე, როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს (ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით, 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება). აღდგომის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია ბზობა, დღე, როდესაც ქრისტე იერუსალიმში დიდებით შევიდა, ხალხი მას პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილით ეგებებოდა. ამ დრესასწაულზე ყველა ოჯახს ტაძრიდან სახლში ბზის ტოტები მიაქვს, ნაკურთხი ბზა საქართველოში პალმის რტოების სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. ბზობას მოჰყვება ვნების კვირა. ვნების კვირაში, წითელ პარასკევს ყველა ოჯახში კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოა. სააღდგომო კვერცხებს აღდგომის დღემდე არავინ მიირთმევს. აღდგომის წინა დღეებში აცხობენ ასევე სააღდგომო პასკას. ბოლო წლებში სააღდგომო ტრადიციის აუცილებელ ატრიბუტად იქცა მომცრო ჭურჭელში ჯეჯილის გაზრდა, რაც სიცოცხლესა და განახლებას უკავშირდება. სააღდგომოდ გაზრდილ ჯეჯილს წითელ კვერცხებს შემოუწყობენ ხოლმე. აღდგომის დღესასწაულს მორწმუნეთა დიდი ნაწილი ეკლესიაში ხვდება და საზეიმო ლიტურგიას ესწრება, რომელიც დილამდე გრძელდება. აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში შეხვედრისას ადამიანები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად ამბობენ – „ქრისტე აღსდგა“! და პასუხობენ – „ჭეშმარიტად“! (ადრე ეს ტრადიცია აღდგომიდან 40 დღეს გრძელდებოდა). აღდგომას ყოველ ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს სააღდგომო წითელი კვერცხები და პასკა. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმის ტრადიცია, ყველა ცდილობს რაც შეიძლება რთულად დასამტვრევი კვერცხი შეარჩიოს, ვისი კვერცხიც დარტყმისას არ გატყდება მოწინააღმდეგის გატეხილი კვერცხიც მას ერგება. საქართველოში დამკვიდრებულია აღდგომის მომდევნო დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიცია. ადამიანები ახლობელთა საფლავებზე გადიან, მიაქვთ სააღდგომო კვერცხი, პასკა, მცირედი სასმელი და საკვები, მოიხსენიებენ მიცვალებულებს და სააღდგომო კვერცხებს საფლავზე ტოვებენ. აღდგომის მომდევნო კვირას კვირა-ცხოვლობა აღინიშნება.

საქართველოში ცნობილია ძველი სააღდგომო ტრადიციები, რომლებიც დღეს უკვე მივიწყებულია. ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციაა ჭონა, რომელიც თავისი ხასიათით საშობაო ალილოს მიაგავს. მეჭონეები სააღდგომო სიმღერით მიდიოდნენ სოფლის ყველა ოჯახში და დღესასწაულს ულოცავდნენ. ოჯახი მეჭონეებს კვერცხებით, ტკბილი კვერებით და ფულითაც ასაჩუქრებდნენ. დღის ბოლოს, შეგროვილი სანოვაგით სოფლის მთელი ახალგაზრდობა ერთად აღნიშნავდა აღდგომას. განსხვავებული ტრადიციები არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყაზბეგში, სოფელ სნოში დამკვიდრებული ძველი ტრადიციაც ძალიან ჰგავს ჭონას. აღდგომას ახალგაზრდა ვაჟების მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი, სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცის ხელმძღვანელობით სოფლის ყველა ეზოში შედიოდა აღდგომის მილოცვით. მოსულებს ოჯახის წევრები გამოეგებებოდნენ, დიასახლისს კი შესაწირი გამოჰქონდა. ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ სააღდგომო კვერცხებს ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ, თან ხმამაღლა ამბობდნენ, ვის სახელზე იდებოდა კვერცხი. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები ისრებს ესროდნენ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხვევები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილი შესაწირით საერთო ზეიმი იმართებოდა, ფული კი სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

სამეგრელო – სამეგრელოში აღდგომა დღეს პურის კვერებს აცხობდნენ ყველითა და კვერცხით და განსაკუთრებული ქვევრის – ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. ოჯახის უფროსი, რომელიც დილიდან წყალსაც არ სვამდა, შუადღისას ხონჩაზე აწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო ქვევრის თავზე აწყობდა, შემდეგ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

რაჭა – რაჭაში აღდგომა დილით პურის ფაფას აკეთებდნენ და ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახში მიდიოდა და აკურთხებდა. ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა ოჯახის წევრი, სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის ბარკალს, ლავაშს და სხვა სანოვაგეს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ აღნიშნავდნენ, აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და დიდი ზეიმი იმართებოდა.

გურია – გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ღელო იმართებოდა. ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა შავი ღვინის, თაფლისა და ბროწეულის წვენის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ სიმხნევისთვის.

კახეთი – კახეთში სააღდგომოდ ბატკანს და ღორს კლავდნენ. ასევე აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

სვანეთი – სვანეთში მოსახლეობა სოფლის მთავრ ეკლესიაში ესწრებოდა წირვას. სააღდგომო ზეიმი მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და სრულდებოდა უფლიშით – კვირაცხოვლობის დღესასწაულით, რომელსაც სვანეთში დღესაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

სხვადასხვა ქვეყნის სააღდგომო ტრადიციები

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნებში განსხვავებული და საინტერესო ტრადიციები აქვთ. აი, რამდენიმე, ჩვენი აზრით, ყველაზე ორიგინალური.

აღდგომა გერმანელებისთვის მნიშვნელოვანი დღესასწაულია. მისი მთავარი პერსონაჟი კი საშობაო ბაჭიაა. აღდგომის ღამეს მშობლები შეღებილ კვერცხებს მალავენ, რომლებიც ვითომ ბაჭიებმა გადამალეს და დილით ბავშვებმა უნდა იპოვონ. მხიარულება მთელი დღე გრძელდება. აღდგომაზე გერმანელები ერთმანეთს საჩუქრებსაც უძღვნიან. ეს შეიძლება იყოს: ტკბილეული, სუვენირი, შოკოლადის ბაჭია. ქუჩებში კი ბაჭიის ფორმაში გადაცმული ადამიანები დადიან, რომლებიც კალათით შოკოლადის კვერცხებს ატარებენ და გამვლელ პატარებს უმასპინძლდებიან.

გერმანელების სააღდგომო სუფრის მთავარი კერძი შემწვარი თევზია. დესერტი – სხვადასხვა ფორმის ორცხობილა. სუფრას აუცილებლად უნდა ამშვენებდეს ნარცისების თაიგული. ის აღდგომის ერთ-ერთი სიმბოლოა. სადილობის შემდეგ გერმანელები სტუმრად მიდიან, მასპინძლები კი შოკოლადის ორცხობილითა და ჩაით უმასპინძლდებიან. გერმანელების რწმენით, ვინც მათ აღდგომაზე შეხვდებათ, მთელი ცხოვრება ერთგული მეგობრები იქნებიან. ამ დღეს ჩხუბი ყოვლად დაუშვებელია, რათა სამუდამო მტრები არ შეიძინოთ.

ბულგარეთში შეღებილ კვერცხებს სააღდგომო პურის გარშემო ალაგებენ. ქართველების მსგავსად, ბულგარელებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს კვერცხების ჩატეხვაში და ამასთანავე, ერთმანეთს ბედნიერებას უსურვებენ. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ბატკნის კერძისგან მომზადებული კერძი, წითელი ღვინო და ბოსტნეულის სალათა.

იტალიის სუფრის მთავარი მშვენება კოლომბაა, რომელსაც ლიმონის არომატი და ნუში აქვს დამატებული. ზოგჯერ მას მტრედის ფორმა და თეთრი მინანქარი აქვს. სადილზე კი ცხვრის ხორცის კერძი უნდა ჰქონდეთ. აგრეთვე, ფენოვანი ცომის ღვეზელი მოხარშული კვერცხითა და ყველით.

პოლონელი მამაკაცები წკეპლებით მსუბუქად სცემენ მანდილოსნებს, რათა ისინი კიდევ უფრო გალამაზდნენ და გაბედნიერდნენ. დიასახლისები სუფთა ხუთშაბათს «ბაბკასა» და «მაზურკას» აცხობენ. «ბაბკა» ცილინდრის ფორმის საფუვრიანი ცომის ტკბილეულია, გულსართად კი შოკოლადი ან მარციპანი აქვს. «მაზურკა» – ფხვიერი ღვეზელია. მას შაქრის კვერცხებით, კრემის ყვავილებითა და შოკოლადის ფოთლებით რთავენ. სუფრაზე ბედნიერების მომტან 7 სიმბოლოს დებენ: პური, მარილი, ლორი, ყველი, პირშუშხა, კვერცხი და დესერტი. აღდგომის მომდევნო დღეს პოლონელები წყაროზე საბანაოდ მიდიან. ვისაც ამის საშუალება არა აქვს, ბედნიერების დასაბედებლად, გამვლელებს წუწავს.

ჰელსინკის ერთ-ერთ სოფელში საინტერესო ტრადიცია აქვთ: ახალგაზრდები მთელი ღამე მანქანებით დადიან და დოლზე დაკვრით მოსახლეობას აღდგომის დღესასწაულის დადგომას ულოცავენ.

სააღდგომოდ ბერძნები ცეცხლს ანთებენ. ზოგიერთ რეგიონში კოცონზე იუდას ფიტულს წვავენ, მაგრამ ცეცხლს სხვა დატვირთვაც აქვს. ერთი მხრივ, იგი იმ კოცონის სიმბოლოა, რომელთანაც პეტრე თბებოდა, მეორე მხრივ, ცეცხლი ტაძრიდან გამოსული ან ტაძარში ვერმისული ხალხის გასათბობადაა ანთებული. ბერძნებს, ჩვენი ბზის ნაცვლად, პალმისა და მურტის ტოტები აქვთ. სუფრაზე – ფხვიერი ორცხობილა «კულურაკია», წითლად შეღებილი კვერცხი, წითელი ღვინო და წვნიანი «მაგირიცა», რომელიც ცხვრის ხორცით, კვერცხითა და ლიმონის წვენით მზადდება.

ფრანგები სააღდგომოდ სახლს მხიარულ ფერებში რთავენ. მთავარი სიმბოლო ზანზალაკებია. მათი ხმა ბედნიერების მომასწავებელია. ზანზალაკებს ისე კიდებენ, რომ მთელი დღე მათი ხმა ისმოდეს. სუფრაზე აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შემწვარი წიწილა, დესერტზე – შოკოლადის გულსართიანი ფუნთუშა. ერთ-ერთი ტრადიციის მიხედვით, მშობლები ბავშვებს შოკოლადის კვერცხებს უმალავენ, რომლებიც ბავშვებმა უნდა იპოვონ. უცნაურია, მაგრამ აღდგომის მეორე დღეს ფრანგ ქალს უფლება ეძლევა, ქმარს სცემოს, ხოლო სამაგიეროს გადახდა მეუღლეს მეორე დღეს შეუძლია.

შვედეთში ავი სულების დასაფრთხობად ცეცხლს ანთებენ. ზოგჯერ ერთმანეთსაც ეჯიბრებიან, ვის უფრო დიდი და ნათელი კოცონი ექნება. ჯადოქრების ფორმაში გამოწყობილი ბავშვები კი კარდაკარ დადიან და ტკბილეულს ითხოვენ.

ისლანდიელები აღდგომაზე ერთმანეთს ხელით მოხატულ, დამზადებულ კვერცხებს ჩუქნიან. აგრეთვე – მისალოც ბარათებს სურვილებითა და ბრძნული გამონათქვამებით. სუფრის მთავარი მშვენება ბატკნის კერძია ბოსტნეულის გარნირით, დესერტად – ორფეროვანი ორცხობილა.

აღდგომის დილას ინგლისელ ბავშვებს ბალიშის ქვეშ შოკოლადის კვერცხები, ბაჭიები და საჩუქრები ხვდებათ. სააღდგომო სადილზე მთელი ოჯახი იკრიბება. სუფრაზე აუცილებლად აქვთ: ცხვრის კერძი, სააღდგომო ტორტი და ჯვრისგამოსახულებიანი პური. აგრეთვე – შოკოლადის კვერცხები და ბაჭიები. სხვათა შორის, ინგლისელები სააღდგომოდ ქათმის კვერცხის გარდა, ბატისა და სირაქლემას კვერცხებსაც კი ღებავენ.

ინგლისელები დიდ ხუთშაბათს მოწყალების დღეს ეძახიან. მონარქი იმდენ ადამიანს ასაჩუქრებს, რამდენი წლისაც გახდება იმ წელს. ეს ტრადიცია 5 საუკუნის წინ დამკვიდრდა. იყო დრო, როცა მონარქი ტანსაცმელსა და ოქროს მონეტებსაც კი არიგებდა. აღსანიშნავია, რომ კენტ წლებში სააღდგომო ცერემონიას ვესტმინსტერის სააბატო, ხოლო ლუნებში ქვეყნის მთავარი ტაძარი მასპინძლობს.

აღდგომის დილას ინგლისელები წითლად შეღებილ კვერცხებს გორაკებზე აგორებენ. ვისიც პირველი ჩაგორდება, გამარჯვებულიც ისაა. ეს ტრადიცია ბრიტანელებმა ამერიკაშიც ჩაიტანეს. ყველაზე დიდი შეჯიბრი ვაშინგტონში, თეთრი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ეწყობა. ამერიკელები ერთმანეთს ტკბილეულითა და კვერცხებით ასაჩუქრებენ. ზოგჯერ გასართობშიც მონაწილეობენ, მუყაოსგან გაკეთებულ კვერცხში ჩამალულ კითხვას უნდა გასცენ პასუხი. სააღდგომო სუფრაზე კი აქვთ ლორი ანანასითა და კარტოფილით, ხილისა და ბოსტნეულის სალათები.

ავსტრალიის საკონდიტროებში სააღდგომოდ შოკოლადისა და შაქრის კვერცხებსა და ბაჭიებს ამზადებენ. ოჯახებში სუფრაზე შემწვარი ცხვრის ხორცი აქვთ, ბოსტნეულის გარნირით. დესერტად – ბეზეს ტორტი ხილით. ეკლესიაში წასვლამდე კი საუზმეზე ტკბილ, ცხელ ფუნთუშებს მიირთმევენ. სადილის შემდეგ ავსტრალიელები პიკნიკს აწყობენ. ასევე, მიღებულია წყალში ბანაობა.

ხოლო თუ ავსტრალიელმა იმ წელს დაქორწინება გადაწყვიტა, წყაროზე წყალს აავსებს და მთელი წელი შეინახავს, რათა ქორწინება წყაროს წყალივით სუფთა და გამჭვირვალე იყოს. ავსტრალიელები წითლის გარდა, კვერცხებს გაზაფხულისა და იმედის ფერში – მწვანედაც ღებავენ. ხოლო სტამბულში მცხოვრები ქრისტიანები – ყვითლად, რადგან იგი ოქროსთან ასოცირდება.

6 მაისი (ახ. სტ.) – გიორგობა

მართლმადიდებელი ეკლესია 6 მაისს წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს.

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძლევაშემოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით, იგი, რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს, მხედართმთავარი გახდა. ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. მან მრავალი სატანჯველი მოითმინა, მათ შორის – ბორბალზე გაკვრა. წმინდანს 303 წელს, 30 წლის ასაკში, მოკვეთეს თავი. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

წმინდა გიორგი კაბადოკიელის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები კათოლიკეები, პროტესტანტები, გრიგორიანელები, მონოფიზიტები სცემენ თაყვანს. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში – ყურანშიც კი მოიპოვება. ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს – წმიდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს – მისი ბორბალზე წამების დღეს, დღესასწაულობს.

წმიდა დიდმოწამე გიორგის მეოხებით ღმერთმა გაძლიეროს სრულიად საქართველო.

კვირაცხოვლობის დღესასწაული და ეკლესიაში დამკვიდრებული უძველესი ტრადიციები

აღდგომის ბრწყინვალე შვიდეული გვირგვინდება კვირიაკით, რომელსაც ეწოდება კვირაცხოვლობა, ანუ ახალი კვირა, ანუ აღდგომის განახლება. ამ დღიდან მოყოლებული, ყოველი კვირა დღე აღდგომის დღესასწაულია.

აღდგომის მომდევნო კვირას მართლმადიდებლური ეკლესია კვირაცხოვლობის დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც სხვაგვარად თომას კვირად იწოდება, რადგანაც ამ დღეს ქრისტიანები იხსენებენ თომას რწმენაში მოსვლის სასწაულს.

იოანეს სახარების თანახმად, მაცხოვრის ჯვარზე გაკვრით, მისი დაკარგვით შეძრწუნებული მოციქული თომას გონება უიმედო ფიქრებით იყო დამძიმებული. ბრწყინვალე აღდგომის დღეს, საღამო ხანს, იესო ქრისტე გამოეცხადა თავის მოწაფეებს, თუმცა მათ შორის არ იმყოფებოდა თომა მოციქული. როდესაც იგი მოციქულებთან დაბრუნდა, ახარეს, რომ იხილეს მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე. ქრისტეს მოწაფეებს თომა ასე პასუხობდა: „თუ არ ვიხილავ მის ხელებზე ნალურსმნევს და ნალურსმნევში არ ჩავყოფ თითს, მის ფერდში კი – ხელს, არ ვირწმუნებ“ (იოანე, 20:25).

რა უნდა ვიცოდეთ და როგორ ვილოცოთ ბრწყინვალე შვიდეულში

აღდგომიდან მერვე დღეს უფალი ეჩვენა თომას. არ დაუცადა მის კითხვას და თავად უჩვენა ნაჭრილობევი, რითაც უპასუხა მის ეჭვებს და სიტყვით გამოუთქმელ კითხვას. ამის შემდეგ თომამ წამოიძახა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოანე, 20:28). აღდგომის მომდევნო კვირას აღდგომის განახლებას სწორედ იმის გამო ვუწოდებთ, რომ მკვდრეთით აღდგომიდან მერვე დღეს კვლავ გამოეცხადა მაცხოვარი თავის მოციქულებს და განაახლა აღდგომის სიხარული.

ამ დროს თომა მოციქული იმდენად აღივსო რწმენის სიმტკიცით, იმდენად შეურყეველი გახდა მისი სულიერი სამყარო, რომ გახდა ღირსი თავისი სამოციქულო მოღვაწეობა მოწამეობრივად დაესრულებინა. აღდგომის დღესასწაულიდან ერთი კვირის თავზე, ჩვენ ვზეიმობთ მცირედმორწმუნეობაზე გამარჯვებას, რისი მაგალითიცაა თავად თომა მოციქულის ცხოვრება.

თომას კვირიდან, დიდმარხვის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იწყება მართლმადიდებლურ ეკლესიებში ჯვრისწერის საიდუმლოს შესრულება, რაც მარხვის დაწყების დღიდან შეჩერებული იყო. ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში აღევლინება სადღესასწაულო წირვა.

„წყარო ცხოვრებისა“ – ღვთისმშობლის ხატის სასწაულეგრივი ისტორია

კვირაცხოვლის დღეს ეკლესიებში მორწმუნეებს ურიგდებათ არტოსი. აღდგომის დღიდან მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე ეკლესიებში კანკელის წინ დგას მაგიდა, სადაც დევს პური. ეს პური საგანგებოდაა გამომცხვარი და ეწოდება არტოსი („არტოს“ – ბერძნ. „პური“). სადღესასწაულო დღეებში არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდ სიწმინდეს წარმოადგენს. კვირაცხოვლობას არტოსი მცირე ნაწილებად იჭრება და მორწმუნეებს ურიგდება. არტოსს მორწმუნეები კიდევ უფრო ანაწევრებენ და მთელ წელიწადს ინახავენ წმინდა ადგილას; ავადმყოფობის ან სხვა განსაცდელის ჟამს არტოსი მიიღება, როგორც სულიერი წამალი – საკურნებლად სულისა და ხორცისა.

ეკლესიაში დამკვიდრებული უძველესი ტრადიციის თანახმად, თომას კვირიაკეს სამშაბათს, აღდგომის შემდეგ, პირველად ხდება სასაფლაოებზე გასვლა, რათა ჭირისუფლებმა ამ დღეს ახარონ თავიანთ მიცვალებულებს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა.

სწორედ კვირაცხოვლობის დღეს მთავრდება ბრწყინვალე შვიდეული, რომელიც აღდგომის დღესასწაულის შემდეგ ერთი კვირის მანძილზე გრძელდება და მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.

... მე, როგორც პოეტი,ვარ აღმწერელი ადამიანთა ტკივილისა თუ სიხარულისა...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ჩემი ლექსები, სხვათა სიხარულის და ტკივილის გადმოცემაა. ის არ ეკუთვნის ცხოვრების რომელიმე ეტაპს. ამ წიგნში ასახულია საზოგადოების მორალური მრწამსი და მე, როგორც პოეტი, ვარ აღმწერელი ადამიანთა ტკივილისა თუ სიხარულისა...

პოეტის გული გრძნობს მას, რასაც თვალით ვერ ხედავს...

მე თქვენ მიყვარხართ ადამიანებო, თქვენი ტკივილით და სიხარულით, დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით...

ცხოვრების გზაზე მრავალი ადამიანის სულში ჩამიხედავს, რათა იქ სინათლე მეპოვნა... ზოგში მიპოვნია. ზოგში კი-არა!

მზისგულა, ზნემაღალი და ნათელი სულის პიროვნებების გვერდით, მათი ანტიპოდებიც ბევრი შემხვედრია. დრო მიდის, მაგრამ ადამიანთა კატეგორიები არ იცვლება...

... და რადგან,ჩემი პოეზია საზოგადოების სულიერების ასახვაა, რა საჭიროა, რომ ლექსს დაწერის თარიღი დავუსვა?!

ჩემი ლექსები – „უთარიღო ლექსებია!“

ია გიგიაშვილი

ერთხელ, დუქანში!

(ავთანდილ სამუკაშვილის ნახატი – ლექსად)

დიდი ხნის წინათ, საბურთალოზე,
ცხოვრობდა, თურმე, პაპა მახარე...
ჰყავდა ნახირი, იქვე, მინდორში,
წველის ძროხებს და რძით ხალხს ახარებს!

ადედებს მაწონს, მერე, ბაზარში,
მიაქვს ხელჩანთით, მინის ქილებით...
უცბად გაყიდის, სწორდება წელში,
შეიკრავს პალტოს მსხვილი ღილებით!

იქვე, დუქანი არის კახური...
„ქინძმარაული“ უყვარს მახარეს...
ყოველდღიურად, ბაზრობის შემდეგ,
შედის, მიკიტნის გულსაც ახარებს...
ერთხელ, ჩვეულად, ტრადიციულად,
შედის დუქანში, თვალს მიმოავლებს...
ქილას იღებს და როგორც ყოველთვის,
ონკანს მოუშვებს, წყალს გამოავლებს...

მერე, მიკიტანს მოუხმობს ხელით:
– ჰე, მეგობარო! შემივსე ქილა!
უფალს მადლობა უნდა შევწირო,
რომ გამითენა მზიანი დილა!

არ გაქვს უფლება

ვინ მოგცა ნება, დაურღვიო სიმშვიდე სულის,
მას, ვისაც სხვისთვის სიკეთე და სიმშვიდე უნდა...
ვინ მოგცა ნება, აუარო მათხოვარს გვერდი,
თუნდ ცოტა გქონდეს, დაინანო იმისთვის ხურდა!
ვინ მოგცა ნება უტიფრობის, ან გულგრილობის...
თუმცა, ქმედება არის შენი თავისუფლება...
მაგრამ კაცობის საზომია მხოლოდ სიკეთე
და თავს არ მისცე დაცემულის დაჩაგვრის ნება!
ნება შენია, ადამიანს მოექცე როგორ,
არჩევანია გულის, გონის თავისუფლება!
მაგრამ ლამაზ სულს, როგორც სეტყვა – იას, თელავდე,
არ გაქვს უფლება, ადამიანო, არ გაქვს უფლება!
არ გაქვს უფლება, თვალზე ცრემლი არ დაინახო...
დაინახავ და არ ეცადო იმის შეშრობის...
თუმც, ნება შენი არის, სად და რას დაინახავ,
მაგრამ იმქვეყნად ვერ მიიღებ ცოდვის შენდობას!
ხომ სჯობს, რომ მტირალს თვალზე ცრემლი სიტყვით შეაშრო,
და სხვათა ჩხუბში შენ არ იყო შორით მზირალი...
მაშინ ამქვეყნად არ მოხდება ამდენი ცოდვა,
არ გვეყოლება ამდენივე მშიერ-მტირალი!
ნება შენია, ვინ იქნები, რა გზას აირჩევ...
გულია მხოლოდ კაცთა ნების თავისუფლება,
მაგრამ მერწმუნე, გულგრილობა დიდი ცოდვაა
და დაუწერელ კანონთან – არ გაქვს უფლება!

იზოლდა იოსებიანი

„ქინძმარაულით“ შემივსე ქილა!
მხოლოდ ის მინდა, სხვა ღვინო არ მსურს!
რა შეედრება სევდის დამთრგუნველ
„ქინძმარაულსა“ და ღვინო კახურს!

მიიყუდა და დაცალა ქილა,
მაჯით იწმინდა სველი ტუჩები...
სარკმლიდან იმწამს მზე შემოიჭრა,
მზე, მეგობარი თბილი ქუჩების...
იქვე, დუქანში იჯდა უცნობი,
თხოვნით მიმართა მოხუც მახარეს:
„ძია, მათხოვე ეგ მინის ქილა,
ნუ გამაწბილებ და გამახარე!“

მახარემ, გვერდით, მაგიდას მჯდარი,
ის ახალგაზრდა თვალით აწონა...
მიკიტანს უთხრა: – შეუვსე ქილა,
მე რომ დავლიე, მას მოეწონა!

– ჰე, მიკიტანო! შეუვსე ქილა
და ჩემს ფეშქაშად მიართვი სტუმარს!
სად სადღეგრძელო ითქმის ლამაზი,
იქ, გამიგია, მუზები სდუმან!

მიართვა კინტომ უცნობს სასმისი,
მზესავით ღვინო – ქილას ესვენა!
– „ეს გაუმარჯოს საქართველოს ცას
და წასულების იყოს ხსენება!“

ისეთი ხმით თქვა კაცმა სათქმელი,
დუქანს შეიჭრა მზე –დაფიონი!
მერეღა მიხვდა პაპა მახარე,
რომ ქილით სვამდა – გალაკტიონი!

... მერე, იმ ქილით ბევრი რამ ითქვა,
დუქანში მზე და მთვარე იწვოდნენ...
მახარე პაპამ და დიდმა გალამ,
ღვინის და კაცის ფასი იცოდნენ!

რამდენჯერ ითქვა მზესადღეგრძელო,
თვითონ ქილაშიც კი მზე ესვენა!
ჩვენც შევსვათ ახლა: – პაპა მახარეს
და დიდი გალას იყოს ხსენება!

იტყვის ვინ უშლის? – იტყვის!

ბრძენს ჭკუას არიგებს უვიცი...
სულელიც თავისას იტყვის...
დამშლელი ვინაა?! დაე, თქვას!
„თავისუფლებაა სიტყვის!“

ახლა ბრძნული სიტყვა ვის უნდა?
სიტყვა ჭრის ავყია ბრიყვის...
ნება მიეცი და სულელი,
სულელურს „ჭკვიანურად“ იტყვის!

შენ სათქმელს გულში ცრი ვიდრემდი
ბრიყვი დაგასწრებს და იტყვის!
რა ვუყოთ, დრო არის ასეთი
„თავისუფლებაა სიტყვის!“

ახლა რომ ვიწყებდე მუშაობას ისევ ყვარელს ავირჩევდი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

გადაწყვიტეთ თქვენი ახალგაზრდობის წლები ამ რაიონთან დაგეკავშირებინათ, რამ განაპირობა ეს? – ყვარლის სიყვარულმა ხომ არა?

– მეც გილოცავთ, მრავალ გაზაფხულს გახარებული და ჯანმრთელი დაგასწროთ უფალმა.

– რა გითხრათ, – ყვარელში გატარებულ წლებზე მართლაც ბევრი მაქვს მოსაყოლი. იმ დროისთვის, როდესაც დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, იქიდანვე გვანაწილებდნენ სამსახურებში; ძირითადად რეგიონებში. მე თბილისში მიწევდა სამსახურის დაწყება და სწორედ მაშინ შემომთავაზეს კახეთის რეგიონი, – თელავი ან ყვარელი. მე ყვარელი ავირჩიე, რადგან ყვარელი ჩემი დედულეთია. აქ დავიბადე, აქ ავიდგი ფეხი, ჩემი ბავშვობა თითქმის ყვარელში მაქვს გატარებული. აქ შევედი სკოლაში, რადგან ჩემი მშობლები მაშინ აქ მუშაობდნენ. დედა პედაგოგად, მეორე საშუალო სკოლაში, მამა სპეციალობით აგრონომი, ყვარლის რაიკომში მიწგანის გამგედ. მშობლების სამსახურის შეცვლის გამო მესამე კურსიდან თბილისში მომიწია გადასვლა საცხოვრებლად. მიუხედავად ამისა, ყვარელთან სულ მქონდა ურთიერთობა. არდადეგების პერიოდში, ზაფხულში თითქმის ყოველთვის ჩამოვდიოდი ბებიასთან და ბიძებთან. აქ უფრო მხიარულად ვატარებდი არდადეგების პერიოდს ჩემს ტოლ-მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად. სწორედ ამიტომ გამომიწია აქეთ გულმა.

– რა ასაკში დაიწყეთ ყვარლის რაიონულ საავადმყოფო-პოლიკლინიკაში ექიმ-თერაპევტად მუშაობა, როგორ კოლექტივთან მოგიწიათ მუშაობა, როგორი წლები იყო ეს თვენთვის?

– სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე ჯერ სოფელ წიწკანაანთსერში და შემდგომ კუჭატანში ექიმად. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გადამიყვანეს ყვარლის საავადმყოფო-პოლიკლინის გაერთიანებაში უბნის ექიმ-თერაპევტად, სადაც დამხვდა არაჩვეულებრივი, საკმაოდ გამოცდილი პროფესიონალი, გულისხმიერი და ღვაწლმოსილი ექიმებითა და ექთნებით დაკომპლექტებული კოლექტივი, რომლებმაც თავიანთ რიგებში მიმიღეს დიდი სითბოთი და სიყვარულით. იმ დროისთვის ერთი საერთო მორიგე იყო მთელ საავადმყოფოში. გვიან საღამოს პალატებში მძიმე ავადმყოფების მოსანახულებლად შემოივლიდა ხოლმე ყველასათვის სათაყვანებელი, თავისი საქმის პროფესიონალი ექიმი-ქირურგი ალექსანდრე გამსახურდია; მორიგეობისას აუცილებლად შემომეხმიანებოდა მიმღებში და მკითხავდა: ხომ არაფერი გიჭირს კოლეგა? აი, ასეთ ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივში მომიწია მუშაობა, კოლექტივში, სადაც პატივს სცემდნენ ერთმანეთს, ითვალისწინებდნენ ერთმანეთის აზრს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს რთულ სიტუაციებში. დღის კონფერენციაზე კი ვიხილავდით მძიმე ავადმყოფების ისტორიებს, გამოსავალს ერთად ვეძებდით. ამიტომ ეს წლები ჩემთვის საუკეთესო იყო. შევიძინე ბევრი მეგობარი, პარალელურად ვმუშაობდი ყვარლის სამუსიკო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად, კოლექტივი თითქმის სულ ახალგაზრდა პედაგოგებით იყო დაკომპლექტებული. 90-იან წლებში, რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ გავიარე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტების ორ წლიანი კლინიკური ორდინატურა და ჯანდაცვის სამინისტრომ მომანიჭა უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდება. სამუშაოდ ისევ ყვარელი ავირჩიე. წლების განმავლობაში გვემატებოდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრებიც. 90-იან წლებში ქვეყანაში სუფევდა უშუქობა, სიცივე. ხშირად გვიხდებოდა ლამპის და სანთლის შუქზე ღამის მორიგეობის გატარება. ჩვენ მაინც ვცდილობდით ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე – მძიმე პაციენტისთვის მაინც ნორმალური პირობები შეგვექმნა. რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით მოხდა ქირურგიული და რეანიმაციული განყოფილებების და ლაბორატორიის შერემონტება. მაშინ ამ საქმის დაგვირგვინებაში დიდი წვლილი მიუძღოდა ექიმს, ბატონ ვაჟა ერგეშიძეს, რომელსაც დღემდე მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ ხოლმე.

ახლად აშენებულ პოლიკლინიკა-საავადმყოფოს მედპერსონალისათვის თავიდან მუშაობის ნორმალური პირობები იყო, აქ არსებული სამედიცინო აპარატურა თითქმის აკმაყოფილებდა ჩვენი რაიონის მოსახლეობას, მაგრამ შემდგომში, რომ იტყვიან, ყველაფერი წყალმა წაიღო. მე, როგორც მიმღების და თერაპიული განყოფილების მორიგე ექიმს, ყოველ მეოთხე დღეს მიწევდა 24 საათიანი მორიგეობა. წლებს წლები ემატებოდა და უკვე მიჭირდა ღამე მუშაობა. ამიტომ გადავედი ყვარლის პირველ საჯარო სკოლაში ექიმად. ძალიან მახარებდა და მამხნევებდა ბავშვებთან ურთიერთობა, მათი ჟრიამული.

– გარეგნობით ლამაზ ქალბატონს, პროფესიონალ ექიმს, რომელსაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, ოჯახის შექმნაზე არც უფიქრია, რა იყო მიზეზი?

– დიახ, იყო ასეთი ამბები, მაგრამ ასე მოხდა, ასეთი იყო ალბათ ღვთის ნება.

– რას გვეტყოდით თქვენი ოცნებებისა და სურვილების შესახებ?

– როგორც ყველა ქართველის, ჩემი ოცნებაც საქართველოს გაერთიანება და გაბრწყინებაა. რაც შეეხება სურვილს, – ჩემი დიდი სურვილია რომ ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე აშენდეს ახალი მუნიციპალური პოლიკლინიკა-საავადმყოფო აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით, სადაც დაბრუნდებიან ჩვენი გამოცდილი პროფესიონალი ექიმები, რომლებიც გაფანტულნი არიან სხვადასხვა რაიონებში, ზოგი თბილისში, ზოგიც საზღვარგარეთ და ჩვენს პაციენტებსაც აღარ დასჭირდებათ სხვაგან წასვლა გამოკვლევებისა და კვალიფიციური დახმარების მიზნით. დროის დაკარგვის გამო მძიმე პაციენტების სხვადასხვა რაიონებში გადანაწილებამ კი შეიძლება უფრო გაართულოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

– იუმორით სავსე თანამშრომლებთან გიწევდათ მუშაობა, ამ თავლსაზრისით უფრო რომელ ექიმებს გაიხსენებდით?

– მართლაც რომ იუმორით დაჯილდოებულ თანამშრომლებთან მომიწია მუშაობა. ამ მხრივ მეტად გამოირჩეოდნენ ჩვენი ექიმები, – რენდგენოლოგი ზალიკო ფხოველიშვილი, სიმონ მათიკაშვილი, ქალბატონი ლილი ჩიტრეკაშვილი, გაიოზ ბახუტაშვილი და სხვები. ღმერთმა ნათელში ამყოფოთ. ისინი ყოველი კონფერენციის შემდეგ გვახალისებდნენ ახალი ანეგდოტებით და სახალისო ცხოვრებისეული ისტორიების მოყოლით.

– პროფესიიდან გამომდინარე, თქვენი მუშაობის პერიოდში თუ იყო კურიოზები პაციენტებთან მიმართებაში?

– რათქმა უნდა, მახსოვს კურიოზებიც პაციენტებთან მიმართებაში. ახალ პოლიკლინიკა-საავადმყოფოს მიმღებში სოფლიდან ჩამოსული იყო საყვარელი ბებო. წნევის გაზომვის დროს, მისი ნინსაფრიდან მესმოდა რაღაც ჭუკჭუკის ხმა. ვეკითხები, რა ხდება ბებო? შვილო, პატარა ვარია მოგიყვანე, მეც მინდა პატივი გცეო. ვეხვეწე, არ გინდა ბებო, უკან წაიყვანე მეთქი, მაგრამ, მითხრა, არაფრით უკან არ წავიყვან, აქ ეზოში გავუშვებო. რაღას ვიზამდით, ერთ-ერთმა ჩვენმა ექთანმა, ქალბატონმა თამარ თოდუამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა, წაიყვანა სახლში, გაზარდა, შემდეგ თავისი ქათმებიც მიაყოლა ზედ, დაგვპატიჟა და კარგად ვიქეიფეთ.

– მომავალი, რომელიც გაფიქრებთ და გაგახარებთ

– მომავალი, რომელიც სიხარულს მომიტანს, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის საავადმყოფო-პოლიკლინიკები გამართული ჯანდაცვის სისტემით, სადაც პაციენტები თავს დაცულად იგრძნობენ, რომლის დროსაც არ დასჭირდებათ გადაყვანა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა და მაღალკვალიფიციური მკურნალობისთვის.

ასევე გამახარებს ჩემი ერთადერთი ძმის ოჯახის გამრავლება, ბედნიერება. მისი ერთადერთი შვილის ოჯახური ბედნიერება, მათი სიხარული. ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, გამრავლებას და წარმატებებს თავიანთ სამედიცინო საქმიანობაში. მინდა, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ სამშობლოს.

– ახლა რომ თავიდან იწყებდეთ მუშაობას, ისევ ყვარელს აირჩევდით?

– ახლა, როდესაც ვფიქრობ ჩემს განვლილ ცხოვრებაზე, არ ვნანობ, რომ ეს პროფესია ავირჩიე. ჯანდაცვის სისტემაში ვიმუშავე თითქმის 50 წელი, სადაც მრავლად მყავდა და მყავს როგორც ხანდაზმული, ასევე ახალგაზრდა მეგობრები;

ადამიანები, რომლებიც მხვდებიან ხოლმე ქუჩაში, ზოგი ნაცნობი, ზოგიც უცნობი, მკითხულობენ დიდი სითბოთი და სიყვარულით, მეფერებიან, ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამდენი წლები ტყუილად არ მიშრომია და მიღვაწია ამ პატარა, ლამაზ, ილიას მშობლიურ კუთხეში და ალბათ, თავიდან რომ ვიწყებდე მუშაობას, ისევ ყვარელს ავირჩევდი, ყვარელს, რადგან ჩემი ცხოვრების ნახევარი საუკუნე აქ გავატარე.

დიდი მადლობა გაზეთ „ყვარლის“ რედაქციას ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. ამით თქვენ სიცოცხლის წლები გამიხანგრძლივეთ.

გმადლობთ.

* * *

ვფიქრობ ამდენი წლების გასვლის შემდეგ, თამრიკო ექიმს, რომელსაც მართლაც ბევრი უღვაწია და უშრომია ჩვენი ხალხისთვის, ბევრი უძილო ღამე უთენებია პაციენტებისათვის, ახლა ჩვენი გვერდში დგომა სჭირდება. იქნებ ახლა მას უფრო მეტად ვჭირდებით, ვიდრე გვჭირდებოდა ჩვენ. უფრო მეტ სითბოსა და სიყვარულს უნდა ვიჩენდეთ ასეთი ექიმების, და არამარტო ექიმების მიმართ. ჩვენი სახელმწიფო მართალია ბევრს აკეთებს ასეთი ადამიანების დასახმარებლად, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება გვმართებს. მათ ხანდახან შევეხმიანოთ, მოვესიყვარულოთ და თუ სჭირდებათ, ყოველგვარი თანადგომა გამოვუცხადოთ.

ყველამ ერთად ვიფიქროთ ამაზე.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს, გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. 9 მაისი კი, ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეორე მსოფლიო ომმა საქართველოზე უმძიმესი კვალი დატოვა – ჩვენმა ქვეყანამ 300 000-მდე ჯარისკაცი დაკარგა.

საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში 700000 ადამიანი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა.

მეორე მსოფლიო ომში, როცა ერთმანეთს ორი ბოროტება ებრძოდა, საქართველომ, სტალინის სამშობლომ, პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო.

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის 1-ელ სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში – 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ბრძოლის ადგილი იყო აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ევროპა და ჩრდილოეთ აფრიკა. საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკაში (არქტიკა) ალასკასა და გრენლანდიაზე, ახლო აღმოსავლეთში – ერაყსა და ირანში, აღმოსავლეთ აფრიკაში – ეთიოპიასა და სომალიში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (სურინამის დაპყრობა), ტიბეტში (ტოლსტოი-დოლანის მისია) და ანტარქტიდაზედაც კი (ოპერაცია ტაბარინი).

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღენთილი იყო მძლავრი იდეოლოგიზმით. ამან ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა კავშირი იტალიასა და იაპონიასთან; ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე. წ. „ებრაულ მსოფლიო შეთქმულების“ წინააღმდეგ; ანტიბოლშევისტური გამანადგურებელი ბრძოლა აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვებისთვის და დაპყრობილი ტერიტორიების გერმანელებით დასახლება.

გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება. „გერმანია იქნება მსოფლიოში გაბატონებული ძალა ან საერთოდ არაფერი არ იქნება“, – წერდა ჰიტლერი თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ („Mein Kampf“).

დაპყრობილი საბჭოთა კავშირი უნდა დაყოფილიყო სხვადასხვა ოლქად რაიხსკომისრების მმართველობის ქვეშ. აქედან ბელორუსები, უკრაინელები და ბალტიისპირეთის ხალხები „საარსებოდ ვარგისად“, ხოლო რუსები „დაბალ რასად“ იქნენ შეფასებულნი. დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპა დასახლებული უნდა ყოფილიყო გერმანელი გლეხებით და ჯარისკაცებით, ე. წ. „შეიარაღებული გლეხებით“. ნაცისტური ელიტის განზრახვით, აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, მათი სამოქალაქო ელიტის განადგურების შემდეგ, უნდა დარჩენილიყვნენ „გაუნათლებლები, მორჩილნი და გამრჯე“ და ემუშავათ გერმანიისთვის.

1933 წლამდე ეს იდეები სერიოზულად არავის მიუღია, თუმცა ჰიტლერის პოლიტიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ გეგმის ეტაპობრივი განხორციელება. 1936 წლის აგვისტოში მიღებული „ოთხწლიანი გეგმა“ ითვალისწინებდა გერმანიის არმიის და ეკონომიკის საბრძოლო ვითარებისთვის მომზადებას ორი განსხვავებული ვარიანტისთვის: 1) 1941-1942 წ. წ. – გერმანიისთვის პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არახელსაყრელი ვარიანტი; 2) 1944-1945 წ. წ. – შედარებით ხელსაყრელი ვარიანტი.

1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერმა თავისი გეგმები დაწვრილებით და დაზუსტებით წარუდგინა ვერმახტის გენერალიტეტს (იხ. „ჰოსბახის პროტოკოლი“).

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1-ელ სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი „სს“-ის წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადიოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

ომის პირველი გასროლა მოახდინა გერმანულმა სასწავლო გემმა „შლეზვიგ-ჰოლშტაინმა“.

1941 წლის 22 ივნისის დილას კი ვერმახტის 149 დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევას აწარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 – დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 – ბალკანეთზე. მიუხედავად ოპერატიული ინფორმაციისა, წითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მებრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის განევის გარეშე დანებდა მარშით მიმავალ ვერმახტის ჯარებს. ამის ერთადერთი ახსნა „პრევენციული დარტყმის თეზით“ თუ შეიძლება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ისტორიკოსთა გარკვეული წრის მიერ გაზიარებული იქნა და რომელიც ჯერ კიდევ მესამე რაიხის იდეოლოგების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ამ ინფორმაციის მიხედვით, საბჭოთა კავშირი თვითონ ემზადებოდა გერმანიაზე თავდასახმელად. ის ფაქტი, მართლა აპირებდა თუ არა სსრკ გერმანიაზე თავდასხმას და მართლა მზად იყო თუ არა წითელი არმია ასეთი ომისთვის, არ ამსუბუქებს ნაცისტური გერმანიის დანაშაულს ამ თავდასხმაში. სსრკ-ის წინააღმდეგ დაწყებული დაპყრობითი და გამანადგურებელი ხასიათის ომი იყო ჯერ კიდევ წლების წინ ჰიტლერის მიერ ფორმულირებული „აღმოსავლეთში საარსებო სფეროს“ მოპოვების გეგმის დამასრულებელი ეტაპი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო, დაემარცხებინა გერმანია. ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. კაცი. დაიღუპა 62 მლნ. კაცი (სსრკ – 27 მლნ., გერმანია – 5,25 მლნ., პოლონეთი – 4,5-6 მლნ., იუგოსლავია – 1,7 მლნ., იაპონია – 1,8 მლნ., აშშ – 318. 000, დიდი ბრიტანეთი – 386. 000, საფრანგეთი – 810. 000, იტალია – 330. 000, რუმინეთი – 378. 000, უნგრეთი – 420 000, ფინეთი – 84 000), სამხედრო ხარჯები და ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

მთავარია, ჩვენმა შვილებმა ისე იაროონ, რომ არასოდეს გაიწყვიტონ შუბლზე ნამუსის ძარღვი და ყოველთვის ახსოვდეთ ვისი გვარისანი არიან

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

კომპეტენტური ადამიანების აზრი. მითუმეტეს, რომ საერთაშორისო კვლევების შედეგების ანალიზი ქართველი მოსწავლეების უნარების შესახებ, არც ისე სახარბიელოა. სჯობს, არ არსებობდეს ტაბუდადებული თემები და ყველა, ვისაც გარკვეული შეხება და შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია ჩაერთოს პრობლემის გადაჭრის გ ზების ძიებაში.

ღონისძიების იდეასთან და ასევე აღნიშნულ აქტუალურ თემებთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვე ქალბატონ ზეინაბ ჭიჭიკოშვილს, როგორც საუკეთესო მასწავლებელს, ფილოლოგს, რომელიც ათეული წლები ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მრავალი თაობა აღზარდა.

– რაში მდგომარეობს ძირითადი პრობლემა, რატომ არ უყვართ მოსწავლეებს ძველი ქართული მწერლობა, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები?

– ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლას, ამ ურთულეს საქმეს ერთ წელში უნდა გაართვან თავი მოსწავლეებმა: წაიკითხონ, თანამედროვე ქართულზე გაიაზრონ, ლექსიკაზე იმუშავონ, წამოჭრილ უამრავ პრობლემაზე დაფიქრდენ, იმსჯელონ, წერონ და შეიყვარონ კიდეც, ეს არის თუ არა რთული 16-15 წლის ასაკში?

– რა როლი აკისრია მასწავლებელს ამ შემთხვევაში?

არის თუ არა სახელმძღვანელოები მოზარდის ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი?

რა უპირატესობები აქვს საზეპიროების შესწავლას, რამდენად მნიშვნელოვანია და როგორ უნდა დაინტერესდნენ მოსწავლეები?

რა შეიძლება იყოს გამოსავალი?

ეს ის ძირითადი კითხვებია, რაზეც ქალბატონი ზეინაბ ჭიჭიკოშვილი გვესაუბრა.

– მანამდე, სანამ აღნიშნულ საკითხს შევეხებოდე, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ სადისკუსიოდ აირჩიეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა სწავლება სკოლაში.

რაც შეეხება ლიტერატურული სალონის მიერ ჩატარებულ ღონისძიებას: „რატომ უნდა ვისწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“. აღნიშნული ღონისძიების იდეა დაიბადა საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო. ჩვენი ახალგაზრდობა ცხოვრობს ღირებულებების მსხვრევის ეპოქაში. იმძლავრა არასახარბიელო მიმბაძველობამ, ამიტომ, აუცილებელია მომავალი თაობის ცნობიერების ამაღლება. ამაში კი სკოლასა და ოჯახთან ერთად მთელმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, რათა ახალგაზრდებმა იცოდნენ: „რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

ღონისძიებაზე გამოიკვეთა, რომ ყველაზე მთავარია საკუთარი თავის პოვნა, რაც თვითგანმტკიცების აუცილებელი პირობაა. თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ადამიანი, აღნიშნულის პასუხი „ვეფხისტყაოსანშია“.

ილიას აზრით, „სწორედ ეს პოემა არის ბურჯი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. ქართველობის ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარია, რომელსაც მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.

შემდეგ სადისკუსიოდ დაისვა საკითხი ტექსტის საზეპიროების შესახებ.

პირადად ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მოსწავლეებმა აუცილებლად ზეპირად უნდა იცოდნენ აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“, რაც დაეხმარებათ ცხოვრებაში წამოჭრილი სიძნელეების გადალახვისას. დანარჩენი სტროფები კი შეუძლიათ თავიანთი გემოვნების გათვალისწინებით დაისწავლონ ზეპირად. მთავარია, გაიგონ, იაზროვნონ და გააკეთონ ლოგიკური დასკვნები. სწორედ აღნიშნულის დასამტკიცებლად გაიმართა კონკურსი: „ვინ უკეთ იცის „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები“. გამარჯვებულ ჯგუფს კულტურის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

მართალია საკითხს გადავუხვიეთ, მაგრამ მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყვარლის პირველი საჯარო სკოლის მე-6 კლასის მასწავლებლებს: ნატო ფერაშვილსა და ირმა გელაძეს, რომელთა მოსწავლეებმა ღონისძიებაზე გამოავლინეს „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავების საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც შეტანილია მათ სახელმძღვანელოში.

რაც შეეხება საკითხს: უნდა ისწავლებოდეს თუ არა აგიოგრაფიული ნაწარმოებები სკოლაში? პასუხი სხვადასხვაგვარია. მაგალითად, საკმაოდ ავტორიტეტულმა პიროვნებამ, ბატონმა გია მურღულიამ პირდაპირ უარყოფითი პასუხი გასცა აღნიშნულს. პირადად მე, ერთ ჩვეულებრივ რიგით პენსიონერ პედაგოგს, მიმაჩნია, რომ ჩვენი ქართული მწერლობის პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“ აუცილებლად საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ყველა მოსწავლემ. სწორედ ამ ნაწარმოების საშუალებით დარწმუნდებიან ახალგაზრდები, თუ რა რთული იყო ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა, რაც ასოცირდება სამშობლოს დაცვასთან. ამასთან ერთად, გაოცებას იწვევს ამ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება, რაც ჩვენი კულტურის განვითარების უძველეს პერიოდზე მიანიშნებს.

რაც შეეხება „აბოს წამებას“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, ვფიქრობ, მათი სწავლება ფრაგმენტულად უნდა ხდებოდეს. ეს კი მასწავლებლის საოცარ ოსტატობას მოითხოვს. მაგალითად, „აბოს წამებიდან“ ყურადღება უნდა გამახვილდეს ტექსტის იმ მონაკვეთზე, რომელშიც ნათქვამია: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაია ყოველი აღესრულების“. ეს საკითხი – საქართველოს გაერთიანების იდეა – დღესაც აქტუალურია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი ხომ რუს ოკუპანტთა ხელშია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ საკმაოდ ვრცელი ნაწარმოებია. სავსებით გეთანხმებით, რომ მოსწავლეებისათვის მართლაც რთულია წაიკითხონ, გაიაზრონ, იმუშაონ ლექსიკაზე, იმსჯელონ და შეისწავლონ.

ვფიქრობ, აქაც ძირითადად იმ საკითხებზე უნდა დავაფიქროთ მოსწავლეები, რასაც ცხოვრებაში გამოიყენებენ. მაგალითად, გრიგოლისა და მისი მოსწავლეების მიერ ტაო-კლარჯეთში, ეკლესია-მონასტრების მნიშვნელობა. ეს ეპიზოდი დააფიქრებთ ახალგაზრდებს, რომ მიზნის მიღწევა შრომისმოყვარეობისა და მტკიცე ნებისყოფის გარეშე შეუძლებელია. თანაც გაიაზრებენ, რომ იმ პერიოდში აუცილებელი იყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობდა სარწმუნოების გავრცელება-განმტკიცებას და კულტურული ცხოვრების აღორძინებას.

დღეს, როცა დემოკრატიის მოშველიებით ადამიანებს ენაზე რაც მოადგებათ, ყველაფერს ამბობენ, გრიგოლ ხანძთელის ერთ მნიშვნელოვან თვისებაზე დაკვირვება: „ბრძნად აღაღის პირი და წესი განუჩინის ენასა თვისსა“, ახალგაზრდას დააფიქრებს კამათის კულტურაზე და მიახვედრებს, რომ გაგონილი და დანახული გონების ქურაში უნდა გაატაროს და უნდა შეძლოს საკუთარი თავის ფლობა.

აღნიშნულ საკითხებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ შემიძლია თამამად ვთქვა, სწავლებაში მზა რეცეპტები არ არსებობს, მასწავლებლობა ხელოვნებაა. მთავარია, პედაგოგმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები და მისი მუშაობა იყოს შედეგზე ორიენტირებული. ის კი ცხადია, წარმატებებს აღწევენ ის მასწავლებლები, რომელთაც გააჩნიათ საფუძვლიანი ცოდნა, კომუნიკაციის უნარი და უყვართ მოსწავლეები.

სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხი ცალკე სადისკუსიო თემაა, რა თქმა უნდა, მე ყველა კლასის სახელმძღვანელოს არა ვარ გაცნობილი, მაგრამ რაც ვნახე, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კარგია XI კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, მაგრამ აღშფოთებას ვერ ვფარავ II კლასის სახელმძღვანელოს გამო. მასში იაკობ გოგებაშვილის მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაა შეტანილი, ხოლო უცხოელი მწერლების ისეთი ტექსტებია მოთავსებული, რომელიც ბავშვების არც განათლებას ემსახურება და არც აღზრდას.

აქაც გადამწყვეტი სიტყვა მაინც პედაგოგმა უნდა თქვას.

დღევანდელი მოსწავლეების გარკვეული ნაწილი წიგნს დაშორდა. ტელეფონმა და კომპიუტერმა ჩაანაცვლა იგი, რაც სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა;

გამოსავალი სად არის? ხშირად უნდა ხდებოდეს ახალგაზრდებთან შეხვედრები, დისკუსიები, კამათი, მსჯელობა.

სწორედ აღნიშნულს ემსახურება ჩვენი ლიტერატურული სალონი „ჩირაღდანი“, რომელიც ერთგვარად გზამკვლევის როლსაც ასრულებს. ვცდილობთ სკოლასთან და ოჯახთან ერთად დავეხმაროთ ახალგაზრდებს განათლებასა და აღზრდაში.

თითოეული განათლებული ადამიანი ხომ ციცინათელასავით ანათებს. ბუნებრივია, რაც ბევრი იქნება ასეთი ადამიანი, ნათებაც უფრო ძლიერი იქნება, ჩირაღდანს დაემსგავსება და სხვასაც გაუნათებს გზას.

თქვენ დასვით კითხვა: სად არის გამოსავალი? მოდით, ჯერ მიზეზებზე ვისაუბროთ. ჩემი თაობის წარმომადგენლები ხშირად წუხან იმის გამო, რომ დღევანდელმა თაობამ კარგად იცის თავიანთი უფლებები, მაგრამ ავიწყდებათ მოვალეობები. რა თქმა უნდა, აღნიშნული ყველას არ ეხება, მაგრამ რეალობას წარმოადგენს. რა არის მთავარი მიზეზი?

თაობათა შორის ხიდი ჩატყდა. დღეს საკმაოდ ნიჭიერი, თამამი და საღად მოაზროვნე ახალგაზრდები გვყავს. მათ ინტერნეტ-სივრცის საშუალებით ჩვენზე ბევრად მეტი ცოდნა დააგროვეს. ხშირ შემთხვევაში მასწავლებელი ვეღარ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ამიტომ პედაგოგმა ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, ფეხი უნდა აუწყოს თანამედროვეობას. ყოველ დღე უნდა იფიქროს სწავლების იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რითაც დაინტერესებს ახალგაზრდებს. ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის დაფუძნებული უნდა იყოს პატივისცემასა და ერომანეთის აზრის გათვალისწინებაზე.

ადრეულ წლებში გაცილებით ადვილი იყო პედაგოგობა. მოსწავლეს რასაც ვასწავლიდით, ვთხოულობდით სრულყოფილად, მის უკან დაბრუნებას. დღეს კი ეს უკვე ასე არ ხდება. ახალგაზრდა ან მიიღებს შენს ნათქვამს, ან – არა. ასეთ დროს დარწმუნების მეთოდი უნდა ავამუშაოთ. არც ის არის გასაკვირი, რომ ზოგჯერ შეიძლება ჩვენს მოსაზრებაზე უკეთესი იყოს ახალგაზრდის შეხედულებები. ასეთ დროს უნდა შეგვეძლოს მისი უპირატესობის აღიარება.

მოდით, გულწრფელად ვთქვათ, რომ დღეს სკოლა დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დასამალი არ არის, რომ მაღალ კლასებში მოსწავლეთა მხრიდან ხშირია, გაკვეთილების გაცდენა.

ყველაზე პროფესიონალ პედაგოგსაც კი უჭირს აღნიშნული საკითხის მოგვარება. ვფიქრობ, ყველამ უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება ამ მიმართებით. პირადად მე გამოსავალს ვხედავ დიფერენცირებულ სწავლებაში.

მიმაჩნია, რომ მოსწავლემ ზოგადი განათლება უნდა მიიღოს მე-9 კლასის ჩათვლით. ხოლო, მე-10 კლასიდან კი დიფერენცირებული სწავლების მიზნით შეიქმნას სამი ჯგუფი: ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური, სადაც გაძლიერებული პროგრამებით მოხდება შესაბამისი საგნების სწავლება. რაც შეეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლა არ აინტერესებთ, უნდა დავარწმუნოთ, რომ მიმართონ პროფესიულ სასწავლებლებს, სადაც დაეუფლებიან სასურველ პროფესიებს.

გვახსოვდეს, იძულებით ვერაფერს გავხდებით.

მინდა, მშობლებმა და მასწავლებლებმაც გაითვალისწინონ ლიბანელი მწერლის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სიტყვები: „შვილები თუმცა თქვენთან არიან, მაგრამ თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ. შეგიძლიათ მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა აზრები, რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ. შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა –სულები, რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან. თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით, დაიმსგავსოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები, წინ-წინ გაიჭრნენ“.

დიახ, ეს ისტორიულად გარდაუვალი პროცესია. მთავარია, ჩვენმა შვილებმა ისე იაროონ, რომ არასოდეს გაიწყვიტონ შუბლზე ნამუსის ძარღვი და ყოველთვის ახსოვდეთ ვისი გვარისანი არიან.

დასასრულს თქვენ მოგმართავთ ჩემო კოლეგებო, დღეს მართლაც რთულია მასწავლებლობა, ამიტომ გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ნებისყოფას, რათა შეძლოთ ილიას შეგონების: „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელიხელჩაკიდებულნი უნდა ვიდოდნენ“ – პრაქტიკაში განხორციელებით.

უფალი იყოს თქვენი მფარველი. დაე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ყოველთვის შევხვდეთ წარმატებულები და იცხოვრეთ მშვიდობიანად, ეკონომიკურად ძლიერსა და ტერიტორიულად გამთლიანებულ საქართველოში.

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

რასაც ბუნება თვითონ გვასწავლის

უკანასკნელ პერიოდში ხშირია საუბარი იმის შესახებ, რომ კლიმატი ძალიან შეიცვალა, რაც არამარტო ტემპერატურის მატებაზე, წყლის რესურსების სიმცირეზე, არამედ სხვა გარემოებებზეც აისახება. განსაკუთრებით საგულისხმოა ეს ფაქტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ტრადიციული მეთოდებით სოფლის მეურნეობაში საქმიანობა ისეთი ეფექტური აღარ არის, როგორც აქამდე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცვლება მიდგომები დარგის მიმართ და მკვიდრდება სიახლეები.

დღეს, როდესაც მსოფლიოში აქტუალური ხდება წყლის რესურსების დაზოგვა, შხამ-ქიმიკატების გამოყენების და შრომითი დანახარჯების შემცირება, ახალ ტექნოლოგიებს სულ უფრო მეტი ფერმერი იყენებს.

ერთ-ერთი ასეთი მეთოდია მულჩირება, რომელიც მოწინავე ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და კენკრის წარმოებაში აქტიურად გამოიყენება.

ბუნებაზე დაკვირვება და ბუნებრივი კანონზომიერების გათვალისწინება ორგანული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

სწორედ ბუნებამ უკარნახა მეურნეს მულჩირების მეთოდი, რომლის დროსაც ნიადაგი მცენარის გარშემო იფარება სხვადასხვა მასალით.

მართლაც, ტყეში ხეების, ბუჩქებისა და სხვა მცენარეების ქვეშ ნიადაგი ყოველთვის დაფარულია გამხმარი ფოთლებით, ხავსით, მკვდარი მცენარეული მასალით.

სწორედ ეს ბუნებრივი საფარი იცავს ნიადაგს მაღალი ტემპერატურისაგან, გამოშრობის, ჩარეცხვისა და ეროზიისაგან, აფერხებს სარეველა მცენარეების აღმოცენება–განვითარებას, იცავს მცენარეებს ყინვისაგან.

მულჩი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს მავნე მეტეოროლოგიური პირობებისაგან ნიადაგის დაცვას. ნიადაგის მულჩირება შესაძლებელია სხვადასხვა მასალითა და სხვადასხვა მიზნით.

მულჩირებისთვის გამოიყენება როგორც დაქუცმაცებული ტორფი, გადამწვარი ორგანული მასალა, მარცვლეული კულტურების ნამჯა, ჩამოცვენილი ფოთლები, ნახერხი, ბალახი, პოლიეთილენი, მუყაო, ქაღალდი და სხვა ორგანული და არაორგანული მასალები.

დამულჩვით მოსავლიანობის გადიდება დიდი ხანია ცნობილია, თუმცა იგი ფართოდ არ გამოყენებოდა, რადგან კულტურის მიხედვით მულჩის ეფექტი ზუსტად დადგენილი არ არის. პირველად 1914 წელს ეკარტმა ჰავაის კუნძულებზე ანანასის და შაქრის ლერწმის პლანტაციებში ასფალტის საფარი გამოიყენა მულჩად.

მანამდე მე–19 საუკუნის დასაწყისში სარეველების წინააღმდეგ ნიადაგის ცემენტითა და ქვით დაფარვა სცადეს. საქართველოში ნიადაგის დამულჩვის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. მ. გოგოლიშვილს. მის მიერ დამტკიცებულ იქნა, რომ დამულჩვის ეფექტურობა დამოკიდებულია მულჩის (მულჩას) სახეობაზე, გამოყენების ხერხებზე, დროზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა.

მულჩი ეს არის მასალა, რომლითაც ნიადაგის ზედაპირი იფარება. არსებობს მულჩის ორი ძირთადი სახეობა: ორგანული და არაორგანული.

მულჩირება საშუალებას იძლევა მინიმალურ დონემდე შევამციროთ წყლის მოხმარება და აორთქლება, ეს გასაკუთრებით იმ რეგიონებისთვისაა მნიშვნელოვანი, რომლებიც კულტურული მცენარეების აქტიური ვეგეტაციის პერიოდში წყლის ნაკლებობას განიცდიან (მაღალი ტემპერატურებისა და საირიგაციო წყლის სიმცირის გამო).

მულჩირება აჩერებს ნიადაგის ეროზიის პროცესებს, არეგულირებს ნიადაგის ტემპერატურას (დილით იგი თბება უფრო ადრე, ხოლო საღამოს ცივდება უფრო გვიან, დღე-ღამის მანძილზე ნიადაგის გათბობისა და გაცივების პროცესი ხდება უფრო თანაბარი), აჩერებს სარეველების განვითრებას და შესაბამისად სამუშაოთა სიიდან აგდებს ისეთ შრომატევად და რთულ პროცესებს, როგორიცაა თოხვნა და მარგვლა, გამორიცხავს ჰერბიციდების გამოყენებას და შესაბამისად ამცირებს გარემოს ქიმიურ დაბინძურებას.

→ ორგანული მულჩი ნიადაგს ამდიდრებს საკვები ელემენტებით და ჭიაყელების ცხოველქმედებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რომლებიც ნიადაგს ჰუმუსით ამდიდრებენ.

მულჩირება აფერხებს ნიადაგის სტრუქტურის გაუარესებას და მის დატკეპვნას. მულჩირებულ ნაკვეთზე, კულტურული მცენარეები უფრო მძლავრ ფესვთა სისტემას ივითარებენ, ვიდრე მულჩირების გარეშე.

მრავალი ფერმერი იყენებს სპეციალური შავი ფერის პოლიეთილენის ფირს, რომლის სისქე მერყეობს 20 მიკრონიდან 50 მიკრონამდე. ერთწლოვანი ბოსტნეულის წარმოებაში მიმართავენ თხელი 20-30 მიკრონიანი პლასტიკური ფირის გამოყენებას, რომლის ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 6-8 თვიდან ერთ წლამდე განისაზღვრება, ხოლო კენკროვან კულტურებში უფრო სქელი პოლიეთილენის ფირი, ან სხვა მასალისაგან დამზადებული ფირები გამოიყება (ეს ფირები დამზადებულია განსხვავებული ტექნოლოგიით და შესაბამისად მათ აქვთ წყლის და ჰაერის გატარების უნარი), რომელთა ექსპლოატაციის ხანგრძლივობა რამდენიმე წელია.

→ დიდ ფართობებზე მულჩირებას სპეცილური მულჩის დამგები მანქანებით აკეთებენ.

მულჩირების დროს, გაზაფხულზე ნიადაგს ჩვეულებრივად აფხვიერებენ, აკეთებენ შემაღლებულ კვლებს, რომელთა სიგანე ტექნიკაზეა დამოკიდებული, თუმცა მისი კლასიკური ზომები 0,9მეტრიდან 1,1-1,2 მეტრამდე მერყეობს. წინასწარ კვლებზე ათავსებენ ერთ ან ორ წვეთოვანი მორწყვის მილს.

დღესდღეობით მსოფლიოში და საქართველოშიც არსებობს აგრეგატები, რომლებიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ოპერციას ერთდროულად ასრულებს (ფრეზავს, აფხვიერებს ნიადაგს, ასწორებს მის ზედაპირს, აკეთებს შემაღლებულ კვალს, რომლის სიმაღლეც შეიძლება 10 სმ-დან 30 სმ-მდე დარეგულირდეს (ცალკეულ დანადგარებს შეუძლიათ უფრო მაღალი კვლების გაკეთებაც 30-50 სმ, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ჭარბტენიანი რეგიონებისათვის და კენკროვანი კულტურებისათვის), შლის წვეთოვან მორწყვის მილებს და აგებს სხვადასხვა სიგანის პოლიეთილენის ფირს.

მულჩის დაგებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფირის კიდეების მიწით თანაბრად დაფარვას, თუ რაიმე მიზეზის გამო (ტენიანი ნიადაგი, დამრეცი ნაკვეთი, ნიადაგის მძიმე სტრუქტურული შემადგენლობა, ქარიანი ამინდი და ა. შ.) ფირის კიდეები რამდენიმე ადგილას არ დაიფარა ქარიან ამინდში შეიქმნება საშიშროება, რომ ქარმა ააძროს ფირი, ან დააზიანოს მასზე გადარგული მცენარეები.

მულჩირების ფირს ჩითილების გადარგვის წინ ამოჭრიან დანით ან მაკრატლით, ამოჭრილი ნახვრეტი უნდა იყოს ზომიერი, მცირედით უნდა აღემატებოდეს გადასარგავი ჩითილის სუბსტრტის დიამეტრს, წინაამღდეგ შემთხვევაში შიქმნება იმის საფრთხე, რომ დიდი ნახვრეტიდან კულტურული მცენარის განვითარებამდე ამოაღწიონ სარეველებმა და მათი მოშორება დამატებით შრომით დანახარჯებს გამოიწვევს.

დღესდღეობით არსებობს ჩითილის სარგავი მანქანები, რომლებიც თვითონვე ჭრიან ფირს და რგავენ ჩითილს. ჩითილის გადარგვის წინ შემაღლებულ კვლებს რწყავენ.

გარკვეულ პრობლემებს ქმნის მოსავლის აღების შემდეგ ფირის ნარჩენების გაწმენდა, ამის გამო უკანასკნელ წლებში ევროპაში და ამერიკაში სხვადასხვა ორგანული მასალების ნაზავისაგან დამზადებული მულჩირების ფირები ინერგება, რომლებიც კულტურული მცენარეების ვეგეტაციის ბოლოსათვის თვითონვე იწყებენ დაშლას.

→ მცირე და საკარმიდამო ნაკვეთებში უფრო მნიშვნელოვანია და უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ორგანული მასალებისაგან დამზადებულ სამულჩე მასალას.

ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ თივა, ბალახის განათიბი, მოთიბული სარეველები (ისინი უნდა მოითიბოს თესლების წარმოქმნამდე), ნახერხი, ხის ბურბუშელა, მუყაო და ა. შ.

მოამზადა ია გიგიაშვილმა
წყარო:https://agrokavkaz. ge/

დარწმუნებული ვარ, რომ ყვარლელი მევენახეები გაითვალისწინებენ ვენახის მოვლის მეცნიერულ მეთოდებს და კმაყოფილი დარჩებიან მიღებული შედეგით

მევენახეობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ეს დარგი ცნობილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასეული წლის წინათ. ადგილობრივი მევენახეობის სიძველეზე მიუთითებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია და სხვა. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულის ბოლოს მევენახეობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამას ადასტურებს კახეთში აღმოჩენილი ვაზის ნამგლისებური სასხლავი, რომელიც ბრინჯაოსაგან იყო დამზადებული. მევენახეობა საქართველოში მუდმივად ვითარდებოდა და იზრდებოდა ვენახის ფართობები. მეოცე საუკუნის დასაწყისში ვენახის ფართობი საქართველოში 52 ათასამდე ჰექტარს შეადგენდა. დღეისთვის ვენახის ფართობი ქვეყანაში შეადგენს 45 500 ჰექტარს.

ვაზის მოვლა და ხარისხიანი ყურძნის წარმოება მუდმივ ყურადღებას, დაუღალავ შრომას, ასევე ყველა მევენახის ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. რომელიმე ოპერაციის დაგვიანება, მოსავლის არა მარტო შემცირებას, განადგურებას იწვევს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაზის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული კომპლექსური მიდგომა: 1. აგროტექნიკური, 2. სელექციური, 3. ფიზიკური, 4. მექანიკური, 5. ბიოლოგიური, 6. ბიოტექნიკური დაცვის მეთოდი.

*ყვარლის მუნიციპალიტეტის მევენახეთა დახმარების მიზნით ინტერვიუს ჩაწერა ვთხოვეთ საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის სპეციალისტს, პროფესიონალ აგრონომს **მამუკა ბერიაშვილს.***

– ბატონო მამუკა, აგროტექნიკური მეთოდის მიზანი რა არის?

– ვენახში აგროტექნიკური ღონისძიებების აგროვადების დაცვით ჩატარება მნიშნელოვნად ამცირებს მავნებელ – დაავადებების გავრცელებას. აგროტექნიკური მეთოდის მიზანია შექმნას დაავადებათა გამომწვევი პათოგენებისა და მავნებლების განვითარებისათვის არახელსაყრელი, ხოლო დასაცავი მცენარისათვის ხელსაყრელი პირობები და გულისხმობს შესაბამის ვადებში ჩასატარებელ ღონისძიებებს: ნიადაგის დამუშავებას, სხვლას, ზედმეტი ყლორტების და ნამხრევების შეცლას, ყლორტის შეჭრას, დროულად „ცის გახსნას“, სასუქების სწორად გამოყენებას, სარეველების მოსპობას, მოსავლის აღების ვადების ზუსტ დაცვას, ნარჩენების მოსპობას და ა. შ.

– ფიზიკურ მექანიკურ მეთოდს რა შედეგი მოაქვს?

– ფიზიკურ-მექანიკური მეთოდია ვაზის შტამბზე ამსკდარი ძველი ქერქის მოცლა, ვენახიდან გატანა და დაწვა. ამ ღონისძიების დროს დიდი რაოდენობით ნადგურდებიან ვაზის ცრუფარიანები, ტკიპები, ყურძნის ჭიის ჭუპრები. მეთოდი ეფექტურია ბუკნას (კვირტის ჭიის) წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუკნას მატლების დიდი რაოდენობა ზამთრობს რქების წვეროს გულში, რის გამოც აუცილებელია შემოდგომით ან გაზაფხულზე ვაზის ანასხლავის დაწვა.

– ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი რას გულისხმობს?

– ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი გულისხმობს მავნებელთა ბუნებრივი მტრების მწერების, ტკიპების, ფრინველების და სხვათა გამოყენებას. აღსანიშნავია ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების და სხვა ბაზაზე დამზადებული მიკრობიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც საკმაოდ ეფექტურები არიან ყურძნის ჭიისა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ. საქართველოს ბაზარზე ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ბიოლოგიური პესტიციდები.

– ბიოტექნიკურ მეთოდს რატომ იყენებენ?

– მცენარეთა დაცვის თანამედროვე მეთოდებიდან მნიშვნელოვანია ბიოტექნიკური მეთოდი, როდესაც ისეთი საშუალებები გამოიყენება, რომლებიც უშუალოდ კი არ სპობენ მავნე ორგანიზმებს, პირველ რიგში მავნე მწერებსა და ტკიპებს, არამედ ხელს უწყობენ ამა თუ იმ გზით მათი მავნეობის ლიკვიდაციას ან შესუსტებას. პირველ რიგში აღსანიშნავია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთ-ერთი ჯგუფი – ფერომონები. ცნობილია, რომ მწერები სპეციალურ ჯირკვლებიდან გამოყოფენ სუნიან ნივთიერებებს-ფერომონებს, რომლებიც ჰაერის ნაკადის საშუალებით ვრცელდებიან გარემოში და საპასუხო რეაქციებს იწვევენ იმავე სახეობის ინდივიდებზე.

– ვაზის ჭრაქი როგორ მოქმედებს და როგორ ვებძლოთ მას?

– ვაზის მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ მეთოდად მაინც ქიმიური მეთოდი ითვლება. საქართველოში ინტენსიურად გამოიყენება პესტიციდები, როგორც მოსავლიანობის ზრდის და მისი ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი წყარო, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა შეირჩეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მაღალ ეფექტიანობასთან ერთად ნაკლებ ტოქსიკურნი იქნებიან სასარგებლო ორგანიზმებისა და ადამიანისათვის, ნაკლებად დაანაგვიანებენ ბიოსფეროს. უმნიშვნელოვანესი გარემოება გახლავთ ქიმიური საშუალებების გონიერი, მიზანმიმართული გამოყენება, რაც, პირველ რიგში, შექმნილი ფიტოსანიტარული მდგომარეობის, მოსავლის შემცირების ფაქტიური საშიშროების ანუ შესხურების აუცილებლობის გათვალისწინებას გულისხმობს. ამ უკანასკნელში იგულისხმება მავნებლობის კრიტერიუმი, ანუ ეკონომიკური ზღვარი, როდესაც ჩატარებული ღონისძიების ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს ამ ღონისძიების შედეგად შენარჩუნებული მოსავლის ღირებულებას.

ვაზის ჭრაქი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საშიში დაავადებაა. მისი სამშობლოა ამერიკა, იგი 1834 წელს იქნა აღმოჩენილი. რუსეთში პირველად 1880-85 წელს გაჩნდა. საქართველოში კი, შავი ზღვის სანაპიროზე, 1881 წლიდან იყო ცნობილი. ის აზიანებს ვაზის ყველა ვეგეტატიურ და რეპროდუქციულ ორგანოს, ფესვის გამოკლებით. ყველაზე მკვეთრი ნიშნები ფოთლებზე და მტევნებზე ვლინდება. ვაზის ფოთლებზე პირველად მოყვითალო, ოდნავ კრიალა ლაქები ჩნდება. ლაქის ორივე ზედაპირი დასაწყისში სუფთაა, 2-3 დღის შემდეგ კი ლაქის არე მთლიანად ხმება, ყავისფერდება, ქვედა მხარე კი თეთრი ფიფქით იფარება. ფიფქი ვაზის ჭრაქის გამომწვევი სოკოს გამრავლების ორგანოებია. ჭრაქი ძალიან სახიფათოა, როდესაც იგი ვაზის ყვავილობის დროს თვით ყვავილედზე ჩნდება. ყვავილედი ნაზი ქსოვილისაგან შედგება და ადვილად ავადდება. დაავადებისას ჯერ მთლიანად იფარება თეთრი ფიფქით, შემდეგ კი ყვავილები ხმება და ცვივა. განვითარებული ნაყოფი ავადდება როგორც ისრიმობის, ისე სიმწიფის დროს. ორივე შემთხვევაში ავადმყოფობა იწყება ყუნწიდან: ისრიმის ფაზაში მარცვალი ჯერ მუქდება, მერე კი ჭკნება. მწიფე ნაყოფი კი ლპება და ცვივა. მცენარის დაავადებისთვის მნიშვნელობა აქვს ვაზის განვითარების ფენოლოგიურ ფაზებს: ახალგაზრდა პატარა ფოთლებს ჭრაქი ვერ აავადებს, ვინაიდან ფოთლებზე ბაგეები ჯერ კიდევ არაა გაფორმებული. სამაგიეროდ, ადვილად ავადდება საშუალო ხნოვანობის ფოთოლი. ხნიერი ფოთლებიც, თავისი „ასაკის“ წყალობით, მეტადაა დაცული.

ვაზისათვის ყველაზე კრიტიკულად პერიოდია თანაყვავილედის სრული განვითარებიდან – ისრიმობამდე. ჭრაქის განვითარებისათვის ხელსაყრელი ტემპერატურული ინტერვალი მერყეობს +11-330C, ხოლო ოპტიმალურია +22-250C და ტენიანობა 80-100%. ოპტიმალურ პირობებში საინკუბაციო პერიოდი – დრო ინფიცირებიდან სოკოს ნაყოფიანობის მოცემამდე – 4 დღეა.

ხშირი წვიმებისა და ოპტიმალური ტემპერატურის პირობებში, ჭრაქს შეუძლია ვაზის ვეგეტაციის განმავლოვაში, სულ ცოტა, 15 თაობა მოგვცეს და მთლიანად გაანადგუროს მოსავალი.

ბრძოლა ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ აგროტექნიკური ხასიათის ღონისძიებებიდან გასათვალისწინებელია: ვენახისათვის განკუთვნილი ნაკვეთი თავიდანვე სათანადოდ უნდა შეირჩეს – არ უნდა იყოს გეოგრაფიულად დაბლობი, დაჭაობებული, მაღალი ტენიანობის მიწა. ვაზს საგულდაგულო მოვლა სჭირდება. დაცული უნდა იყოს ყველა პირობა: რიგთა შორისი მანძილი, ვაზის დროული გაფურჩქვნა, მავთულზე მიბმა, ნიადაგის აგროვადებში დამუშავება და სხვა, რაც, მთლიანობაში, ვენახში აერაციას აადვილებს.

ქიმიური ღონისძიებებიდან გასათვალისწინებელია:I წამლობა – როცა ვაზის ყლორტის სიგრძე 15 სმ-ს მიაღწევს, II წამლობა – მე-8 დღეს, III წამლობა – მე-8 დღეს, IV წამლობა – მე-12 დღეს წინა წამლობიდან, V წამლობა – მე-12 დღეს,VI წამლობა – მე-12 დღეს,VII წამლობა – მე-7 დღეს, VIII წამლობა – მე-12 დღეს.

– ვაზის ნაცარს რა ზიანი მოქვს და რამდენი ხნის განმავლობაში საჭიროებს შეწამვლას?

– ნაცარი – ვაზის დაავადება, რომელიც აავადებს ვაზის ყველა ორგანოს, უფრო საშიშია ყურძნის მარცვლისთვის. იგი გავრცელებულია იმ რეგიონებში, რომელიც ხასიათდება თბილი და მშრალი კლიმატით. ნაცრით დაავადების განვითარება იწყება იმ შემთხვევაში, თუ ჰაერის ტემპერატურა 20-250C-ია, ჰაერის ტენიანობა 60-80%-ია. ვაზის ნაცარი ვითარდება მცენარის ვეგეტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში და აზიანებს მწვანე ორგანოებს. ფოთლის ზედა მხარეზე წარმოიქმნება მონაცრისფრო, ადვილად მოსაცილებელი ნაფიფქი, რომელიც ქვედა მხარეზე, ასევე ყუნწზე და მტევანზე გადაედება. გარკვეული დროის შემდეგ ფოთლებზე მკვდარი ქსოვილის მუქი უბნები წარმოიქმნება, მარცვლებზე ვითარდება მკვრივი ნაცრისფერი ნაფიფქი. დაავადების ადრეულ ფაზაში მარცვლები წყვეტენ ზრდას, ხმებიან, მაგრამ მათი ცვენა არ ხდება. უფრო გვიანდელი გამოვლინების დროს მარცვლები სკდება, რის გამოც მათზე სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმები სახლდებიან. დაავადება მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობას, თუ ინფექცია აღინიშნება ვაზის ყვავილედსა და მტევანზე. ნაცრით მტევნების დაზიანების შემთხვევაში, ღვინის ხარისხი უარესდება. დაავადებული ნაწილი იფარება მოთეთრო ფერის ლაქისებური ფიფქით, რომელიც ხელის გადასმით ადვილად იწმინდება. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება გაზაფხულზე, როცა ვაზი 3-6 ფოთლის განვითარების სტადიაში.

ნაცრის წინააღმდეგ გამოიყენება კონტაქტური და სისტემური ფუნგიციდები. ვეგეტაციის დასაწყისში და დასასრულს კონტაქტური ფუნგიციდი, ხოლო შუალედ წამლობაში 3-4-ჯერ სისტემური ფუნგიციდები.

– ვაზის ანთრაქნოზს რა ზიანი მოაქვს?

– ვაზის ანთრაქნოზით მიწისზედა ნაწილში არსებული ყველა ორგანო ავადდება. ფოთლებზე წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის და ფორმის ნაცრისფერი ლაქები, გარშემორტყმული მოწითალო რუხი ფერის არშიით. დაზიანებული ქსოვილები იშლება და ცვივა, ფოთლები განიცდიან დაფაცხავებას. ლაქები ფორმირდება აგრეთვე ფოთლის ძარღვებზეც, ეს კი არღვევს გამტარი სისტემის მოქმედებას. ფოთოლი ხმება და იწყებს ცვენას. ყვავილედის დაზიანების შემთხვევაში მომრგვალო შავი ლაქები წარმოიქმნება. ყვავილები და ნასკვები მუქდება და ცვივა. მარცვლებზე ძოწისფერი არშიის მქონე იისფერი მრგვალი ნაჭდევისებრი ლაქები ჩნდება. შემდგომ პერიოდში მარცვლები დეფორმირდება, ხმება, მაგრამ მტევნიდან არ ცვივა. ყლორტებზე ლაქები გრძივია, ჩაზნექილი, შავი ფერის წყლულის მაგვარი. ყლორტების წვეროები ხმება და ნახშირდება.

ანთრაქნოზის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლის ფიტოსანიტარული, აგროტექნიკური და ქიმიური ღონისძიებების ჩატარება. შემოდგომით საჭიროა ვაზის დაავადებული ორგანოების მოცილება, ნაკვეთიდან გატანა და დაწვა. თუ დაავადება ძლიერად არის განვითარებული, მაშინ ეს ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს სავეგეტაციო პერიოდშიც. აგროტექნიკური ღონისძიებებიდან უნდა ჩატარდეს ვაზის დროული გაფურჩქვნა და ყლორტების წვეროს გადაჭრა, რაც აუმჯობებს ვაზის აერაციას და დაავადების შეზღუდვას. ვაზის ვეგეტაციის პერიოდში პროფილაქტიკური და სამკურნალო წამლობები, რომლებიც მიმართული იქნება ასევე ჭრაქის წინააღმდეგ, უნდა ჩატარდეს 7-10 დღის ინტერვალით ფუნგიციდებით:

– ვაზის ნაცრისფერ სიდამპლეს რა ზიანი მოაქვს?

– ვაზი ნაცრისფერი სიდამპლით თითქმის ყველა სტადიაში ავადდება. ყურძნისთვის საშიშია, როდესაც მტევანი ავადდება. ნაცრისფერ სიდამპლეს ყველაზე დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ყურძნის სიმწიფის პერიოდში. მარცვალზე ჩნდება ყავისფერი ლაქები, რომლებიც შემდეგში მთელ მარცვალს ედება და იფარება ღია ყავისფერი ფიფქით. დაავადების განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა მაღალი ტენი, მის განვითარებას ხელს უწყობს, აგრეთვე, სეტყვა, ყურძნის ჭია, ნაცარი, ჭრაქი და სხვა.

ნაცრისფერი სიდამპლის განვითარება იწყება ყვავილობის ფაზაში, შემდეგ გადადის ფარულ მდგომარეობაში, იგი რჩება ყურძნის მარცვლის შიგნით და შემდეგ თავს იჩენს ყურძნის სიმწიფეში შესვლიდან, როცა მისი განვითარებისა და გამრავლებისთვის შესაფერისი პირობებია. ზოგჯერ პირველი დაზიანება ყურძნის სიმწიფის დაწყების პერიოდში ხდება. ვაზის ნაცრისფერი სიდამპლის შემთხვევაში მარცვალი ზიანდება სიმწიფის პერიოდში, ზოგჯერ შენახვის დროს ავადდებიან კალმები და ნერგები, იშვიათად კი ფოთლები, ყლორტები და ყვავილედი. ნაცრისფერი სიდამპლე განსაკუთრებული ინტენსივობით ვრცელდება მაშინ, როდესაც ზაფხულის ხანგრძლივ გვალვას ჭარბი ნალექები მოჰყვება. ისინი წვენის აქტიურ მოძრაობას იწვევენ, ამის გამო ადგილი აქვს მარცვლების დასკდომას და მათზე დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები ადვილად სახლდებიან. მარცვლები მუქდება, რბილდება და ნაცრისფერი ბუსუსებიანი ნაფიფქით იფარება, რომელიც მიცელიუმს და კონიდიალურ სპორომატარებელს წარმოადგენს. პათოგენური პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, მტევნები რამდენიმე დღეში სრულიად ლპება.

ვაზის სიდამპლის წინააღმდეგ პირველი წამლობა ტარდება ყვავილობის წინ სისტემური ფუნგიციდით, ხოლო მეორე წამლობა – შეთვალებისას ან სიმწიფის დაწყებისას სისტემური ფუნგიციდებით.

– მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ამცირებენ ვაზის მავნებლები: ტკიპები, ყურძნის ჭია და ცრუფარიანები, რას გვირჩევთ, რა ღონისძიებები გავატაროთ მათ წინააღმდეგ?

– ვაზის ძირითადი მავნებლები: კვირტის ჭია მასობრივად არის გავრცელებული როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე აღმოსავლეთში, თუმცა ბოლო წლებში აღნიშნულ რეგიონშიც საკმაო რაოდენობით გავრცელდა. ის როგორც ევროპულ, ისე ამერიკულ ვაზს აზიანებს, იკვებება მათი კვირტებითა და ფოთლებით. კერძოდ, კვირტს გარედან აზიანებს, შემდეგ კი შიგ შედის. ასეთ კვირტს გარედან წითელი ხვრელი ემჩნევა. მთლიანი გამოღრღნის შემდეგ გადადის სხვა კვირტებზე და იწყებს ხელახალ დაზიანებას. მისი მასობრივი გამრავლებისას ვენახში 30%-მდე კვირტი ზიანდება.

ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა აზიანებს ვაზის მიწისზედა ორგანოებს: ფოთოლს, ყლორტს, მტევანს და შტამბს. ფოთოლზე ცრუფარიანა ძარღვების გასწვრივ სახლდება, ინტენსიურად წუწნის მტევნის, მარცვლის ყუნწს და თვით მარცვალსაც კი. დაზიანებული ფოთოლი ყვითლდება, მტევნები ჭკნება და ძირს ცვივა. ცრუფარიანას ექსკრემენტებზე სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო, რომელიც ვაზის მწვანე ნაწილებსა და მტევნებს აშავებს და გადასამუშავებლად უვარგისს ხდის. ცრუფარიანათი დაზიანებული ვაზი წლების მანძილზე ძლიერ კნინდება და ხმება. ცრუფარიანა ზამთრობს სხვადასხვა ასაკში შტამბზე, სარზე, ამსკდარი ქერქის ქვეშ, ფულუროებში. გაზაფხულზე იწყებს კვებას, იზრდება, იცვლის კანს რამდენიმეჯერ და ზრდასრულ ფაზაში გადადის. ის კვერცხებს ათავსებს თავის მიერ გამოყოფილ ცვილისებრ ძაფებში, შტამბზე, შემდეგ თაობებში კი – ფოთლებსა და მათ ყუნწებზე, ყლორტის ფუძეში, ხოლო უკანასკნელი თაობის უმრავლესობა – მტევნებზე.

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა ძირითადად აზიანებს ვაზის ფოთლებს, რასაც მოჰყვება მათი გაუფერულება და ნაადრევი ჩამოცვენა. გამოზამთრებული ტკიპა გაზაფხულზე ჯერ ახალგაშლილ კვირტებს აზიანებს, ხოლო შემდეგ – ფოთლებსა და ყლორტებს. მავნებელი პირის მჩხვლეტავ-მწუწნი ორგანოთი წუწნის წვენს და უჯრედებში ქლოროპლასტებს ანადგურებს. გაუფერულებული ლაქები განსაკუთრებით ძარღვების გასწვრივ არის შესამჩნევი. ნაწუწნ ადგილებში ფოთოლსა და ყლორტზე მოშავო ყავისფერი ლაქები ჩნდება; დაზიანებული ყლორტები მთლიანად შავდება და ილუპება. მზარდი ფოთლის დაზიანებული ფირფიტა არათანაბრად ვითარდება, იკრუნჩხება და ცვივა. ტკიპებით დაზიანებულ ვენახებში მოსავალი 20%-ით მცირდება, ხოლო შაქრიანობა 3%-მდე ეცემა.

ყურძნის ჭიის პეპელა პატარა ზომისაა, ზედა მხრიდან მურა-ნაცრისფერია, გვერდებიდან და ქვედა მხრიდან – ღია-ნაცრისფერი. მონაცისფრო წინა ფრთები დაწინწკლულია, ყვითელი, ნაცრისფერი და მოლურჯო ლაქებით. უკანა ფრთები ღია ნაცრისფერია, ხოლო ფრთებს უკანა მხარეს ფოჩები აქვს. ულვაშები ძაფისებრია, შედარებით მსხვილი და უბეწვო. ფრთებგაშლილი პეპლის სიგანეა 10-13 მმ, სიგრძე 4-5 მმ. ყურძნის ჭიის პირველი თაობა მატლი ყვავილედს აზიანებს – მას მატლი აბლაბუდის თხელ ძაფებში ახვევს, შიგ ექცევა და ისე იკვებება. ყვავილობის დამთავრების შემდეგ მატლი ახალგამონასკვულ ნაყოფს და კლერტს აზიანებს, რის გამოც მტევანი მთლიანად ან ნაწილობრივ ხმება. ივლისის დასაწყისში მეორე თაობის მატლი ვითარდება და მწვანე მარცვლით იკვებება. ახალგამოჩეკილი მატლი მარცვლის ზედაპირზე მცირე ნაწილს ღრღნის: მოზრდილი კი მარცვალში იჭრება და მის რბილობს სპობს. ძლიერ დაზიანებული მარცვალი ძირს ცვივა, ხოლო ნაწილობრივ დაზიანებული სიმწიფემდე კი აღწევს, მაგრამ უმრავლესობა სიდამპლის გამომწვევი სოკოვანი დაავადებით ილუპება. მესამე თაობის მატლი შეთვალებული და მწიფე მარცვლის რბილობით იკვებება. ამ თაობის მატლების მიერ სუსტად დაზიანებული მარცვალი წვიმიან ამინდში სიდამპლის გამომწვევი სოკოების დასახლების გამო ლპება, რაც მოსავლის 40-50 % განადგურებას იწვევს. მნიშვნელოვანია ვაზის დროული გაფურჩქვნა, რადგან მავნებლის კვერცხების დიდი ნაწილი მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებით ილუპება.

ვაზის ქეჩიანი (მეგალე) ტკიპა საქართველოს მევენახეობის ყველა რა-

გაგრძელება მე-7 გვ.-ზე

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

იონშია გავრცელებული. მწერი მცირე ზომისაა. ძირითადად ვაზის კვირტებში, ქერცლის ქვეშ ზამთრობს. მეზამთრეობიდან გამოსვლა კვირტის გაშლის ფაზას ემთხვევა. ამ დროს ის თავსდება ნორჩ ფოთლებზე და იწყებს მათ დაზიანებას. კვების შედეგად ფოთლის ზედა მხრიდან ჩნდება ამონაბურცები, ხოლო ქვედა მხარეს-შეღუნულ ადგილებში ქეჩის მსგავსი ერთმანეთში გადახლართული ბეწვები. მასობრივი გამრავლების პერიოდში ისინი აზიანებენ კვირტებსაც, რის შედეგადაც კვირტი იღუპება, ყლორტები კი სუსტად ვითარდება. გვალვის შემთხვევაში ძლიერ დაზიანებული ფოთლები ხმება და ცვივა. ზაფხულის დასაწყისში ქეჩის მსგავსი ლაქები პირველად ღია ყვითელი, მოთეთრო ფერისაა, ხოლო შემდეგ მურა ფერს იღებს. ტკიპები ფოთლის ქვედა მხარეს, გალებში ცხოვრობენ, ვითარდებიან და წელიწადში 6-7 თაობას იძლევიან.

ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აზიანებს მრავალ კულტურას, განსაკუთრებული ზიანი მოაქვს ვაზისთვის, მეტადრე სანერგეებსა და ახალგაზრდა ვენახებში. მატლები ნიადაგში ცხოვრობენ და ვნებენ როგორც ნორჩ, ისე ძველ ფესვებს. მთავარი ფესვის დაზიანების შემთხვევაში მცენარე ხმება. ხოჭოების გამოფრენა იწყება ივნისის ბოლოს აგვისტოს ბოლომდე, ძირითადად საღამოს და დილის საათებში. ბრძოლის ღონისძიებები: როგორც სანერგის, ისე ვენახის გაშენების წინ საჭიროა ნიადაგის ზედაპირზე ამოყრილი მატლების მოკრეფა და განადგურება. აგრეთვე ხვნის, ბარვის, თოხნისა და კულტივაციის დროს ჭუპრების

შეგროვება და მოსპობა. განსაკუთრებით ეფექტურია ეს ღონისძიება აპრილ-მაისში, რადგან მატლები ამ დროს იარუსის ფოთლების კიდეებს ეხვევა. ფოთლები მკრთალდება, ზედაპირი უხეშდება, ეხვევა დაბლა მთავარი ძარღვის გასწვრივ. დაავადება ვლინდება ზაფხულის დასაწყისში. აგვისტო-სექტემბერში შავი ყურძნის ფოთლები წითლდება, თეთრი ყურძნის ფოთლები ყვითელია, თუმცა ვეგეტაციის ბოლოს წითელ ფერს ღებულობს. ნაყოფები მკრთალი შეფერილობისაა და შენელებულია მათი დამწიფება. მოსავლის დანაკარგები 10-20%-ს აღწევს.

ვაზის მავნებლების უმრავლესობა ზამთრობს სხვადასხვა ასაკში შტამბზე, სარზე, ამსკდარი ქერქის ქვეშ, ნიადაგში. ამიტომ გაზაფხულზე კვირტის გაბერვამდე უნდა მოხდეს შტამპის გასუფთავება, ვაზზე შემხმარი ნაწილების მოჭრა გასხვლასთან ერთად, ანასხლავის გამოტანა და დაწვა. გაძაფხულზე მავნებლები იწყებს კვებას, იზრდება, იცვლის კანს რამდენიმეჯერ და ზრდასრულ ფაზაში გადადის. ის კვერცხებს ათავსებს თავის მიერ გამოყოფილ ცვილისებრ ძაფებში, შტამბზე, შემდეგ თაობებში კი – ფოთლებსა და მათ ყუნწებზე, ყლორტის ფუძეში. ვენახში წამლობები უნდა დავიწყოთ კვირტის დაბერვამდე მოზამთრე მავნებლების და კვირტის ჭიის წინააღმდეგ, შემდგომი წამლობები უნდა ჩატარდეს რეგულარულად კვირტის გაშლიდან ყურძნის სიმწიფემდე შესაბამისი ინსექტიციდ-აკარაციდებით.

– რა იწვევს ვაზის დამბლას და როგორ ვებძოლოთ მას?

– ვაზის დამბლა (ესკა) დაავადება გავრცელებულია, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. ვაზის სხვადასხვა ჯიშები ამ დაავადებისადმი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამძლეობით. მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი აზრი დაავადების გამომწვევი მიზეზების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარები ვაზის დამბლის მიზეზად მიიჩნევენ ერთის მხრივ ნიადაგის შეუფერებლობას, მაგალითად მძიმე თიხნარი ნიადაგი, რომელიც თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ხელს უშლის ფესვების ნორმალურ განვითარებას და აერაციის ძნელი პირობების გამო, ფესვების დახშობას იწვევს. მეორეს მხრივ კი დამბლის მიზეზად მიიჩნევენ ფესვების მიკოფლორის ტოქსიკურ მოქმედებას. მათი მონაცემებით მიკოფლორის ზოგიერთი წარმომადგენლები საპროფიტები არიან, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში პარაზიტულ ცხოვრებას იწყებენ. მათი აზრით ნიადაგის და მიკოფლორის ერთდროულ მოქმედებას, შესაძლებელია შედეგად ვაზის დამბლა მოჰყვეს. ზოგიერთი ავტორი კი ვაზის დამბლის მიზეზად კლიმატურ პირობებს თვლის, მათი მონაცემებით ვეგეტაციის პერიოდში ტემპერატურის ძლიერი და სწრაფი ცვალებადობა ტრანსპირაციის წონასწორობის დარღვევას იწვევს. ძლიერ მაღალი ტემპერატურა ინტენსიურ აორთქლებას ახდენს ფოთლებიდან, აორთქლებული წყლის დანაკლისი ვერ ივსება, ფესვების მიერ შეთვისებული წყლის რაოდენობით. ამის შედეგად ირღვევა წყლის ნორმალური მიწოდება ფოთლებში და წყლის დეფიციტი ვაზის უეცარ დაღუპვას იწვევს. სხვა მკვლევარები კი აღიარებენ ვაზის დამბლის ინფექციურ ბუნებას. ასევე დადგინდა, რომ დამბლით ვაზის სხვადასხვა ჯიშების დაავადების ხარისხი არ არის ერთნაირი, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში დაავადებისდმი მიმღებიანია საფერავი, შედარებით გამძლეა ხიხვი. დასავლეთ საქართველოში კი დაავადებისადმი სუსტია ციცქა და შედარებით გამძლეა ცოლიკაური.

დაავადების პირველი სიმპტომია ვაზის ფოთლებზე ყვითელი ლაქების წარმოქმნა, რომლებსაც მთავარი ძარღვებს შუა მოთავსებული არე უკავიათ. სიყვითლე თანდათან მატულობს, იკავებს ფოთლის მთელ ფირფიტას, განსაკუთრებით ზაფხულის მეორე ნახევარში, დიდი სიცხეების დადგომის პერიოდში და საბოლოოდ ვაზი ხმება.

მართალია ავადმყოფობის პროცესი ხანგრძლივია, მაგრამ მცენარის დაღუპვა უცბად ხდება, რის გამოც დაავადებას დამბლას უწოდებენ. დამბლის გარეგნული ნიშნებია: გარეგნულად თითქოს სრულიად საღი ვაზი უცბად ხმება, ფოთლების მწვანე ფერი, მოყვითალო – მწვანით იცვლება, რომლებიც იჭმუჭნება, ჭკნება და ბოლოს ცვივა. ჭკნება და ხმება ასევე მტევნის მარცვლები, რომლებიც ხშირად ცვივა ფოთლებისა და მტევნების ჭკნობასთან ერთად, ხმება ასევე ერთწლიან ტოტებიც. არის შემთხვევები, როდესაც ვაზს ნაწილობრივ დამბლა ემართება, კერძოდ ტოტების ერთი ნაწილი ხმება, ხოლო ერთი ნაწილი სრულიად საღი რჩება და ნორმალურად განაგრძობს განვითარებას.

ვაზის შტამბზე მექანიკურ ჭრილობაში მოხვედრილი სოკოს სპორი მიცელიუმი იჭრება მერქნის სიღრმეში, ცენტრში. მიცელიუმი იწყებს ზრდა-განვითარებას და ვრცელდება, როგორც შტამბის სიგრძეზე, ასევე ჰორიზონტალურადაც პერიფერიისაკენ კონცენტრულად. რაც დრო გადის, მით უფრო მეტ წლიურ რგოლებზე ვრცელდება იგი, იწვევს გულის ნეკროზს, შლის მერქანს და აფუტუროებს მას.

დაავადებული შტამბი, რომ გაიჭრას სიგრძეზე, მასში კარგად ჩანს დაავადებული და საღი ნაწილები. ცენტრში მოთავსებულია ღია – მუქი ფერის მთლად დაშლილი და დაფუტუროვებელი მერქანი, რომელიც შედგება სოკოს მიცელიუმისა და დაშლილი ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონებისაგან. სოკოს გავრცელება შტამბის მერქნის პერიფერიისაკენ ხდება წლიური რგოლების თანდათანობითი დაშლით. როდესაც მისი მოქმედება კამბიუმის რგოლამდე მიაღწევს, მცენარეში უკვე წყლის მოძრაობა წყდება და ამის შედეგად ვაზი სწრაფად იღუპება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავადდება შტამბის მხოლოდ ზედა ნაწილი, სოკოს მიცელიუმი ფესვებში ვერ აღწევს და შესაბამისად მათი დაავადებაც არ ხდება. დაავადების გამომწვევი სოკოს გამრავლება ხდება უმთავრესად მიცელიუმის ნაწილებით, დაფუტუროვებული შტამბი ხმება და ბოლოს სკდება, შიგნიდან ფუტურო დაფხვნილი მტვრის სახით ვრცელდება ჰაერის საშუალებით, ხვდება საღი ვაზების დაზიანებულ ადგილებში ან ნაპრალებში და იწვევს მათ დაავადებას. გამოკვლევებით დადგინდა, რომ უფრო ხშირად ავადდება 20-30 წლის ვაზი. შედარებით იშვიათად გვხვდება ის ახალგაზრდა (5-15 წლიან) ვენახებში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ დაავადება არის ქრონიკული ხასიათის და გრძელდება რამდენიმე წელს. ძლიერი ვაზი დაავადების დღიდან 4-5 წლის შემდეგ იღუპება. ასევე დადგინდა, რომ მწირ, ქვიშიან და კირიან ნიადაგებში დაავადება ნელა მიმდინარეობს, ხოლო ნესტიან მძიმე ნიადაგებში კი პირიქით, ვაზი სწრაფად იღუპება.

ვაზის დამბლას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

ვაზის დამბლას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ძირითადად პროფილაქტიკური ხასიათისაა. ერთ-ერთი მათგანია ვაზის სწორად გასხვლა. გასხვლის დროს მერქანზე არ უნდა რჩებოდეს მექანიკურად დაზიანებული ადგილები. დახეთქილი ადგილები უნდა ამოივსოს ბაღის მალამოთი, რაც ვაზს დაზიანებისაგან დაიცავს. გარდა ამისა, ვაზის გაშენების დროს უნდა დაირგოს კარგად შეზრდილი ნამყენები, ვინაიდან ცუდი შეზრდის ადგილიდან შესაძლებელია სოკოს მიცელიუმი შეიჭრას მერქანში. ვაზის დამბლის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ღონისძიებაა მისი შტამბზე გადაჭრა, ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ფესვთა სისტემა მთლიანად საღია. შტამბის გადაჭრა უნდა მოხდეს ადრე გაზაფხულზე ხერხით, დამრეცი კუთხით, გადანაჭერი ადგილი უნდა დაიფაროს ბაღის მალამოთი ან ჩვეულებრივი საღებავით, გადაჭრა უნდა მოხდეს მიწის ზედაპირიდან 20-25 სმ სიმაღლეზე, ხოლო გადანაჭერი გატანილ იქნას ნაკვეთიდან და დაიწვას. თუ ვაზის ხმობა გამოწვეულია ნიადაგის სოკოებით, რომლებიც იწვევენ ფესვთა სისტემის ხმობას, მაშინ აუცილებელია ვაზის მთლიანად ამოძირკვა. უნდა გაკეთდეს 50X50 სმ ზომის ორმო და ღიად დარჩეს რამდენიმე დღე, შემდეგ უნდა ჩაიყაროს მიწა და ორმოები შეიწამლოს რომელიმე ქიმიური ან ბიოპრეპარატ „ბიოკატენას“ 3%-იანი სამუშაო ნაზავით.

– მევენახეებმა რომელი ქვეყნის წარმოებულ პრეპარატებს უნდა მიანიჭონ უპირატესობა?

– ფერმერებს აქვთ დიდი არჩევანი ვენახებში მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩასატარებლად. მსოფლიოს ბევრი განვითარებული ქვეყნიდან შემოდის საკმაოდ დიდი რაოდენობით ხარისხიანი და ეფექტური შხამ-ქიმიკატები, რომელთა გამოყენება მოგვცემს რეალურ შედეგს და მივიღებთ უხვ და ხარისხიან მოსავალს. მთავარი ფაქტორია პრეპარატები შევიძინოთ სერტიფიცირებულ მაღაზიებში, მოხდეს პრეპარატების რეგურალურად ცვლა, დავიცათ საჰექტარო ხარჯვის ნორმები და მოვახდინოთ აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარება ვენახებში.

– კიდევ რას ურჩევდით მევენახეებს?

– რამდენიმე სიტყვით მივმართავ ყვარლელ მევენახე ფერმერებს: მევენახეობა ჩვენთვის შესისხლხორცებული საქმიანობაა, რომელმაც სხვა ფაქტორებთან ერთად შეძლო ერის გადარჩენა. ამდენად მიუხედავად გარკვეული იმედგაცრუებისა, უნდა მაქსიმალურად მოვუაროდ ვენახებს, მივიღოთ ხარისხიანი მოსავალი, ვაწარმოოთ საუკეთესო ღვინოები. ვენახი იტყვის თავის სიტყვას და ძველებურად იქნება ფერმერების და ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო.

დარწმუნებული ვარ, რომ ყვარლელი მევენახეები გაითვალისწინებენ ვენახის მოვლის მეცნიერულ რჩევებს და კმაყოფილი დარჩებიან მიღებული შედეგით

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

როგორ გავაფორმოთ სააღდგომო სუფრა

აღდგომას განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში. ეს დღესასწაულია რომელსაც დიდი სიხარულით, ოპტიმიზმით, დადებითი ემოციებით აღსავსენი ვხვდებით. იმ მიზნით რომ დაუვიწყარი ელფერი ჰქონდეს ამ დღეს, სუფრაც შესაბამისად უნდა გავაწყოთ. სააღდგომო სადილი მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ კერძებს არ გულისხმობს, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მაგიდის გაწყობას ამ დღისთვის შესაფერისი დეკორაციებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა გახსოვდეთ, რომ გაზაფხულია, ამიტომაც ყურადღება ყვავილებზე, მცენარეებზე, მწვანე ბალახზე გაამახვილეთ – რაც უფრო მეტი ბუნების ელემენტი იქნება თქვენს სუფრაზე, მით უფრო სადღესასწაულო ატმოსფეროს შექმნით ამ დღეს. ამასთან, მაგიდის გასაფორმებლად სულაც არ არის საჭირო დიდი თანხის დახარჯვა. ნაცვლად, შეგიძლიათ საკუთარი ხელით გააკეთოთ სააღდგომო სუფრის აქსესუარები, რაშიც სტატიაში წარმოდგენილი ნიმუშები დიდ დახმარებას გაგიწევთ. არა აქვს მნიშვნელობა ელეგანტური, დახვეწილი სტილის მოყვარული ხართ თუ უხეში – თვალი გადაავლეთ, შეარჩიეთ რომელიმე თქვენი გემოვნებით და გააოცეთ ოჯახი.

მადლობა ხელისუფლებას, რომ ზრუნავენ მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის

მდინარე დურუჯი ქალაქ ყვარელს დასავლეთით ესაზღვრება და თავის კალაპოტს არა მარტო აზვირთებული ტალღებით ავსებს, არამედ გადმოსკდება, მიაქვს არემარე და როხროხა ხმაურით იკლებს იქაურობას. გიჟმაჟი მდინარე მოუსვენარი და დაუდეგარია – ყვარელი და დურუჯი! – ერთად მოიხსენიებენ, თითქოს როგორც ერთად შობილნი.

ილია ჭავჭავაძე თავისთან მოსულ სტუმრებს ყვარელთან ერთად მდინარე დურუჯს აცნობდათ, იზრუნა მისი კალაპოტის გამაგრებაზე, მოაწყო დამბები, დიდი შრომა გასწია, ამიტომ შეარქვეს – ილიას კედელი!

დურუჯი რამდენი ამბების მომსწრეა, უთქმელია, მაგრამ ყვარლის ისტორიის მემატიანეა. უხვი ნალექი ხელს უწყობს, აზვირთდება, მთის სალ კლდეებს მოსხლეტავს და მოაგორებს ტალახთან ერთად. ამიტომ მოხდა ტრაგედია 1949 წელს – ყვარელში მაცხოვრებელი ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. მაგრამ მაინც უნდა ვემადლოთ, რადგან მისი წყლით ირწყვება ყვარლის დალოცვილი მიწა და მოსავლის იმედი გვაქვს. ყვარლელები მისი სახელწოდებით ვსარგებლობთ – ფეხბურთის გუნდი „დურუჯი“, მუსიკალური გუნდი – „დურუჯი“. განუყრელია დურუჯი და ყვარელი – ყვარელი და დურუჯი.

მადლობა საქართველოს ხელისუფლებას, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიას, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს, სამოქალაქო უსაფრთხოების სამაშველო სწავლების „დურუჯი – 24“ ჩატარებისთვის და რომლებიც ზრუნავენ ყვარლის რაიონის მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, მშვიდობისთვის, კეთილდღეობისთვის.

მადლობა გაზეთ „ყვარლის“ რედაქციას
მერი პატარაძლიშვილი

დურუჯი

ყვარელი მთებში ჩაფლული,
ბუნება არის ზღაპრული,
ილია ჭავჭავაძისო,
მუზეუმიო ნატრული.

ყვარელს ამშვენებს დურუჯი,
მდინარე არის ზღაპრული,
მოჩქეფსო, მოედინება,
ხან წყნარად, ხან კი ხმაურით.

მაია პატარაძლიშვილი-ბოლღაშვილისა

ფოლკლორის საღამო

ცენტრი თუ გეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში?

– უსათუოდ, მათ გარეშე ბევრს ვერაფერს გავაკეთებდით.

– ფოლკლორის ფესტივალებში თუ იღებდით მონაწილეობას და როგორი შეფასება მიიღო ანსამბლმა „ყვარელმა“?

– მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი ერთი წელია არსებობს, 2023 წლის ზაფხულში ანსამბლი მიწვეული იყო ანაკლიაში, საერთაშორისო ფერტივალზე, სადაც წარმატებით გამოვიდა და მიიღო უმაღლესი შეფასება.

– რამდენი ახალგაზრდა ირიცხება თქვენს სკოლაში?

– სკოლაში მთლიანად ირიცხება 40 ბავშვი, აქედან 15-16 წლის მოზარდები არიან ანსამბლ „ყვარელის“ წევრები და ეს კონცერტიც მიეძღვნა ანსამბლის დაარსებიდან წლისთავს. თუ ხელისშემშლელი პრობლემები არ შეგვექმნა, ანსამბლი საფრანგეთში ერთკვირიანი

ის, უდავოდ იყო საქართველოს ყველა დროის, ყველაზე დიდი ლოტბარი...

2015 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, უნიკალური ქართული სიმღერების გადარჩენის, მოვლისა და პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალურ ცენტრსა და თითმმართველ ქალაქში სალოტბარო სკოლების გახსნა დაიწყო. პირველ ეტაპზე გახსნილ 15 სკოლათა რიცხვში ყვარლის სალოტბარო სკოლაც მოხვდა, რომლის ლოტბარი გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, საფრანგეთის ქ. კონფოლანის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, ანსამბლ რუსთავის ყოფილი წევრი, ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი მათიკაშვილი.

ყვარლის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ყვარელი“ ერთი წელია, რაც ჩამოყალიბდა და ამ ხნის განმავლობაში მრავალგზის წარმოჩინდა საქართველოს მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში, სადაც ყოველთვის მაღალი შეფასებები დაიმსახურა. დღევანდელმა კონცერტმა გვიჩვენა, რომ ანსამბლი „ყვარელი“ ნიჭიერი ახალგაზრდების გუნდია და საერთაშორისო ღონისძიებებშიც შეუძლიათ ასახელონ ჩვენი ქვეყანა.

28 აპრილს ყვარლის ი. ჭავჭავაძის მუზეუმის სხდომათა დარბაზში შესანიშნავი ღონისძიება გაიმართა. კონცერტის პროგრამა მოიცავდა ხალხურ სიმღერებს, კლასიკური სიმღერის ნიმუშებს, ქართველ კომპოზიტორთა რომანსებს, ქართულ ინსტრუმენტებს (ჩორნგური). მაყურებელი მოხიბლა 9 წლის გიორგი ბენდიანიშვილის არაჩვეულებრივმა, ძალიან ლამაზმა სიმღერებმა, ზაურ ცირიკიშვილის სოლო სიმღერამ, რომელმაც შეასრულა დიმიტრი არაყიშვილის რომანსი. მთლიანობაში წარმოდგენილი იყო სინთეზური მუსიკის კონცერტი, სადაც შედიოდა როგორც ხალხური, ისე კლასიკური მუსიკა (იტალიური) და იზოლდა იოსებიანის ლექსი.

დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებას გამოხატავდა კონცერტზე გაჟღერებულ სიმღერებზე და თითოეული სიმღერის დასასრულს მომღერლებს მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ.

კონცერტის დასრულების შემდგომ ანსამბლ „ყვარელის“ ხელმძღვანელს, ლოტბარს ირაკლი მათიკაშვილს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მადლობა გადაუხადა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გიორგი ქოქიაშვილმა

კონცერტის დამთავრებისთანავე ბატონ ირაკლის ვთხოვეთ ინტერვიუს ჩასაწერად დრო გამოენახა და ექსპრონტად მომზადებულ კითხვებზე ეპასუხა.

– ბატონო ირაკლი, ვის ეკუთვნის სალოტბარო სკოლების გახსნის იდეა?

– სალოტბარო სკოლების გახსნის იდეა ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ ლოტბარს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ანზორ ერქომაიშვილს.

სანამ ეს იდეა გაჩნდებოდა, აზრად მქონდა ყვარელში გახსნილიყო ხალხური სიმღერის სკოლა და მოხდა ისე, რომ ჩემი მიზანი თანხვედრაში მოხვდა ბატონი ანზორის იდეასთან. 2015 წელს მომეცა საშუალება გაგვეხსნა სკოლა, მაგრამ პრობლემა იყო შენობის შერჩევა, სადაც განთავსდებოდა სკოლა. პატრიოტი ადამიანების თანადგომით, ვინც მაშინ მუშაობდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობაში, შევძელით შენობის გამოყოფა, სადაც დღეს სკოლა ფუნქციონირებს.

– თქვენ ათეული წლების განმავლობაში იყავით ანსამლ „რუსთავის“ წევრი, რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ შესანიშნავი ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე ანზორ ერქომაიშვილი, როგორ შეაფასებთ მის როლს ქართული ფოლკლორის შენარჩუნებაში?

– ძალიან მოკლედ გეტყვით, მე საკმაოდ ჩახედული ვარ ქართული სიმღერის გადარჩენის ისტორიაში და ნუ მიწყენენ ჩვენი წინაპრების სულები, ჯერ ამდენი არავის გაუკეთებია, არც წარსულში და არც თანამედროვეობაში. ის, უდავოდ იყო საქართველოს ყველა დროის, ყველაზე დიდი ლოტბარი, რასაც მისი მოსწავლეები დიდად ვაფასებთ.

– საქართველოს კულტურის სამინისტრო და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი თუ გეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში?

– უსათუოდ, მათ გარეშე ბევრს ვერაფერს გავაკეთებდით.

– ფოლკლორის ფესტივალებში თუ იღებდით მონაწილეობას და როგორი შეფასება მიიღო ანსამბლმა „ყვარელმა“?

– მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი ერთი წელია არსებობს, 2023 წლის ზაფხულში ანსამბლი მიწვეული იყო ანაკლიაში, საერთაშორისო ფერტივალზე, სადაც წარმატებით გამოვიდა და მიიღო უმაღლესი შეფასება.

– რამდენი ახალგაზრდა ირიცხება თქვენს სკოლაში?

– სკოლაში მთლიანად ირიცხება 40 ბავშვი, აქედან 15-16 წლის მოზარდები არიან ანსამბლ „ყვარელის“ წევრები და ეს კონცერტიც მიეძღვნა ანსამბლის დაარსებიდან წლისთავს. თუ ხელისშემშლელი პრობლემები არ შეგვექმნა, ანსამბლი საფრანგეთში ერთკვირიანი ვიზიტით ესტუმრება სოფელ ლევილს. მოგეხსენებათ, ეს გახლავთ 1921 წლის ქართველი ემიგრანტების ადგილსამყოფელი, სადაც შეხვედრები და კონცერტებია დაგეგმილი.

– რა გეგმები გაქვთ მომავალში?

– მომავალში დაგეგმილი გვაქვს ახალი სიმღერების ძიება, რომლებიც ბევრია დაფარული ქართულ ფოლკლორში.

– ვიცით, რომ უდიდეს ძალისხმევას იჩენთ ყვარელში თეატრის აღორძინებისთვის, ახალ სპექტაკლზე რას გვეტყვით, კმაყოფილი თუ ხართ?

– ყვარლის თეატრის აღორძინება ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზანია და შეიძლება ითქვას, რომ 11 წლის მანძილზე რუდუნებით აქამდე მოვიტანეთ. რაც შეეხება ბოლო სპექტაკლს „ეზოში ავი ძაღლია“, მისი შეფასება არის ხალხის ემოციური გამოხატულება, რაც აისახა დარბაზში სპექტაკლის მსვლელობის დროს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სპექტაკლის რეჟისორს გოგო ჩაკვეტაძეს და მის მეუღლეს ნინო კურტანიძეს, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს სპექტაკლი უმაღლეს დონეზე გამართულიყო.

მადლობას ვუცხადებ კულტურის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ მაია ზარდიაშვილს, რომელიც ყოველთვის მხარში გვედგა და გვეხმარებოდა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

– დღევანდელმა კონცერტმა გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობისაა სახელმწიფოსი და ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ქართული საუნჯის შენარჩუნებაში. ფოლკლორის ცენტრის სკოლები აამაღლებს ეროვნულ ცნობიერებას და ახალგაზრდობას ააცილებს მშობლიურ ფესვებთან გაუცხოებას.

დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რაოდენ დიდი შრომა გაგიწევიათ, რათა ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ შეისწავლოს ქართული ფოლკლორის სიმღერები და საგალობლები.

ყვარლის საზოგადოების სახელით დიდ მადლობას გიცხადებთ და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საშვილიშვილო საქმიანობაში.

ალექსანდრე გიგილოშვილი

დიდი მადლობა, ბატონო ირაკლი!

ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანების თანამშრომლები მადლობას ვუხდით ბატონ ირაკლი მათიკაშვილს, საუკეთესო საღამოს ჩუქებისთვის, რომელიც მის მიერ გაწეული უსაზღვრო შრომის შედეგია. 28 აპრილს ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში გამართულ კონცერტზე წარმოდგენილმა საუკეთესო ნომრებმა უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა დამსწრე საზოგადოებას. რაც მთავარია, ყველა ბავშვში კარგად ჩანდა ვაუკაცური სულისკვეთება, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ შესრულებულ სიმღერებში. იმდენად სასიამოვნოდ მიდიოდა საღამო, რომ არ გვინდოდა დასრულებულიყო, ასევე შესრულდა კლასიკური სიმღერებიც აკომპანიმეტის თანხლებით, საუკეთესო კონცერტმაისტერის, ქალბატონ ნანა სეფაშვილის თანხლებით.

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი საუკეთესო და ნიჭიერი ადამიანები, როგორიც ბატონი ირაკლი მათიკაშვილია. ვუსურვებთ კიდევ მრავალი წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და ყვარლის საიმედოდ, რათა კიდევ მრავალი თაობა აღზარდოს ეროვნული სულისკვეთებით.

სპორტულ ასპარეზობებზე



ძიუდო

თბილისში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ძიუდოში, გოგონათა შორის, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები.

48 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალი მოიპოვა თათია გიგილაშვილმა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა მაგდა ხოსროშვილი (მწვრთნელი ვანო გიგილაშვილი).

კიკბოქსინგი

12-14 აპრილს ქ. ახალციხეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში, სადაც შესანიშნავად იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა.

51 კილოგრამ წონით კატეგორიაში შალვა ახალკაციშვილმა და 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნიკოლოზ პაპუნაშვილმა ჩემპიონის ტიტულთან ერთად მოიპოვეს სპეციალური ქამრები.

ტურნირის მთავარი შეხვედრა კი მოქმედი ქამრის მფლობელი გიგი ხეჩიაშვილისა და სომხეთის წარმომადგენელ ალენ საფარიანს შორის გაიმართა, სადაც შესანიშნავად იასპარეზა გიგი ხეჩიაშვილმა და წარმატებით დაიცვა გასულ წელს ერევანში მოპოვებული ქამარი (მწვრთნელი ზაქრო ხეჩიაშვილი).

ალექსანდრე გიგილოშვილი

კრივი

17-21 მარტს ქ. ზესტაფონში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში ჭაბუკთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა ოთარ წინრიაშვილმა და 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი (მწვრთნელები: ფარნა მაისურაძე, კახა ზაუტაშვილი).

თევზაობა

სოფელში, ავთო პაპას ტბაზე, ათუკამ და დემეტრემ ჭიაყელა მოკიდებული ანკესი წყალში მოისროლეს და ჩეროში ჩამოსხდნენ. სიხარულისგან ათუმ შესძახა, თევზი მოედო ანკესს და წყლით სავსე ჭურჭელში ლიფსიტი მოათავსა. მოულოდნელად ათუს ხელზე შავკოპლებიან წითელ კაბაში გამოწყობილი პატარა ჭიამაია დააფრინდა. დემეტრეს ცხვირზე შავკოპლებიან ყვითელ კაბაში გამოწყობილი ჭრელი პატარა პეპელა დააფრინდა. ათუმ შესძახა – ჭია მაია გაფრინდი, ხელის აქნევით პეპელაც გაუჩინარდა. ამასობაში წაიხემსეს, როგორც იტყვიან ყველი პური და კეთილი გულიო. დანაყრებულებმა ქორფა ბალახზე იკოტრიალეს, მათ მხიარულებას ხის ტოტზე შემომსხდარი ჩიტებისა და მერცხლების ჭიკჭიკი უერთდებოდა. მზე მთას მოეფარა, კმაყოფილებითა და მხიარულებით გულდაჯერებული და თევზებით სავსე კალათით ხელდამშვენებული დეიდაშვილები გაეშურნენ შინისაკენ.

მაია პატარაძლიშვილი-გოლღაშვილისა

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით. დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86